ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

თბილისი
1981

ივნისი № 6 ИЮНЬ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

# СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

ТБИЛИСИ
1981

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

## 1981 წლის 11 მარტის

## ბრძანება № 165

**ქ. თბილისის 140-ე საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ზოგიერთი საკითხის შემოწმების შედეგების შესახებ**

როგორც შემოწმებით დადგინდა, ქ. თბილისის 140-ე საშუალო სკოლის დირექტორი ე. რუხაძე, მისი მოადგილეები სასწავლო-აღმზრდელობით დარგში რ. თავაძე და ე. მაჩიაშვილი არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს. სუსტადაა დანერგილი მოზარდი თაობის აღზრდის ერთიანი კომპლექსური სისტემა, მთლიანად არ არის გამოყენებული მოსწავლეთა თვითმმართველობის ფორმები და საშუალებები სკოლაში შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისათვის. არ არის დაცული სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები. სასკოლო ინვენტარი დაზიანებულია. სკოლის პედაგოგიურ კოლექტივში არ არის შექმნილი აკადემიური ჩამორჩენილობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი კომპლექსური სისტემა. სუსტად ხორციელდება კონტროლი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესისადმი, მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის ამაღლების, სწავლების მეთოდების სრულყოფის, მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდისადმი. არ ხდება მოწინავეთა გამოცდილების განზოგადება-დანერგვა, არ არის გამოყენებული პედაგოგიური პრაქტიკით შემოწმებული მეთოდური მუშაობის პროგრესული ფორმები, რითაც უნდა აიხსნას ის, რომ პედაგოგიური კოლექტივის მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ხარვეზებს. დაბალია მოსწავლეთა ცოდნის დონე განსაკუთრებით იმ კლასებში, სადაც პედაგოგები ა. კვაშილავა, თ. ჯაჭვაძე, ლ. ჩიხლაძე, კ. ქადარია ასწავლიან. ნაკლოვანებებია მასწავლებლების ა. ჩანადირის, ნ. ბუზარიაშვილის, ც. ბორცვაძისა და ნ. ჯავახაძის მუშაობაშიც.

სკოლაში დაბალ დონეზე დგას სახელმწიფოებრივი და შრომითი დისციპლინა. კლასის ხელმძღვანელთა ერთი ნაწილი ფორმალურად ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას. სამუშაო გეგმებში არ არის გათვა-

ლისწინებული მოსწავლეთა ასაკის შესაბამისი ინტერესების ელემენტარული მოთხოვნები.

ნაკლოვანებებია სკოლის მუშაობის დაგეგმვაში; არ წარმოებს მიღებული დადგენილებების შესრულების სისტემატური კონტროლი და შემოწმება.

დირექციის წევრების მიერ მოსმენილი გაკვეთილების ანალიზებში არ ჩანს სასწავლო პროცესის აკადემიური, იდეური, პედაგოგიური და მეთოდური მხარეები. ნაკლოვანებებია საკლასო ჟურნალების წარმოების საქმეში.

არ ტარდება გამაჯანსაღებელი ღონისძიებები დიდ დასვენებაზე. გაკვეთილებს შორის შესვენების ხანგრძლივობა 5 წუთია, რითაც დარღვეულია საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდების მოთხოვნები დღის რეჟიმის დაცვის თაობაზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სკოლის დირექტორმა ე. რუხაძემ, დირექტორის მოადგილეებმა სასწავლო-აღმზრდელობით დარგში რ. თავაძემ და ე. მაზიაშვილმა არსებითად გარდაქმნან მუშაობა. გააძლიერონ კონტროლი და დახმარება მასწავლებლების მუშაობაზე, სასწავლო წლის ბოლომდე საფუძვლიანად შეისწავლონ მათი მუშაობა, პრაქტიკაში დანერგონ მასწავლებელთათვის მიცემული მითითებების შესრულების შემოწმება. იზრუნონ პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლებისა და თვითგანათლებისათვის. იზრუნონ მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების გამოვლინებაზე, შესწავლასა და მუშაობაში გამოყენებაზე. აამაღლონ კლასის ხელმძღვანელების, მასწავლებლების საშემსრულებლო დისციპლინა. განახორციელონ აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომის პრინციპები. განახორციელონ ღონისძიებანი მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის ამაღლებისათვის, გაზარდონ მათში წიგნის, როგორც ცოდნის წყაროსადმი, შეგნებული დამოკიდებულება. პრაქტიკაში დანერგონ სახელმძღვანელოების მოვლისათვის მოსწავლეთა მორალური სტიმულირება.

— პედაგოგიური კოლექტივის ყურადღება მიაქციონ მოსწავლეებში შეგნებული დისციპლინის გამომუშავებას, მათ მიერ ქცევის წესების ზუსტ დაცვას. ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მოსწავლეთა თვითმმართველობის შემდგომ განვითარებას.

— გეგმაზომიერი გახადონ პედაგოგიური საბჭოს მუშაობა. და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წესონ კონტროლი მიღებული დადგენილების შესრულებაზე. გააძლიერონ შინასასკოლო ხელმძღვანელობა და კონტროლი.

2. ქ. თბილისის პირველი მაისის განათლების განყოფილებამ (ამხ. რ. გახელაძე) სისტემატური კონტროლი დააწესოს 140-ე საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივის საქმიანობაზე, აამაღლოს დირექციისა და მასწავლებლების პერსონალური პასუხისმგებლობა მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლების საქმეში. გააანალიზოს ცალკეულ საგნებში პროგრამული მასალის ათვისების მდგომარეობა. სასწავლო წლის ბოლომდე შეისწავლოს სკოლის ადმინისტრაციისა და პედაგოგიური კოლექტივის მუშაობა და მათ მიმართ ვინც რადიკალურად არ გარდაქმნის მუშაობას, გაატაროს მკაცრი ღონისძიება — სამუშაოდან განთავისუფლებამდეც კი.

3. სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე სუსტი ხელმძღვანელობისათვის 140-ე საშუალო სკოლის დირექტორს ე. რუხაძეს, დირექტორის მოადგილეებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში რ. თავაძესა და ე. მაზიაშვილს გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური.

4. საგნის არადამაკმაყოფილებლად სწავლებისა და მოსწავლეთა ცოდნის დაბალი მაჩვენებლებისათვის მასწავლებლებს ა. კვაშილავასა და თ. ჯაჭვაძეს გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური; ლ. ჩიხლაძეს, კ. ქადარიას — საყვედური, ა. ჩანადირს, ნ. ბუზარიაშვილსა და ნ. ჯავახაძეს მიეცეთ შენიშვნა.

5. ქ. თბილისის 140-ე საშუალო სკოლის მუშაობაზე არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისა და კონტროლისათვის, რასაც შედეგად მოჰყვა მოსწავლეთა ცოდნის დაქვეითება, განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორს ნ. გოგოლაძეს, მეთოდური კაბინეტის მეთოდისტს ა. კუპრაშვილს მიეცეთ შენიშვნა.

6. სკოლების სამმართველოს ცნობა და ბრძანება განხილულ იქნას პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე.

7. განათლების განყოფილების გამგემ (ამხ. რ. გახელაძე) შეისწავლოს და მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს მომახსენოს სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მიმდინარეობის შესახებ.

მინისტრის მოადგილე — მ. კობახიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1981 წლის 23 მარტის**

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

**საქართველოს კომუნისტური პარტიის 26-ე ყრილობისადმი მიძღვნილი ნორჩ ფენოლოგთა მე-8 რესპუბლიკური კონფერენციის შედეგებისა და მე-9 რესპუბლიკური კონფერენციის ჩატარების შ ე ს ა ხ ე ბ**

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო აღნიშნავენ, რომ ნორჩ ფენოლოგთა მე-8 რესპუბლიკური კონფერენცია ჩატარდა მაღალ იდეურ და ორგანიზაციულ დონეზე.

კონფერენციამ გამოავლინა მშობლიური ბუნებისა და მხარის შესწავლით დაინტერესებული მოსწავლე ახალგაზრდობა, სკოლების, სკოლა-ინტერნატების, პიონერთა სახლებისა და ნორჩ ტურისტთა სადგურების ბიოლოგიის, გეოგრაფიის, მხარეთმცოდნეობისა და ნორჩ ფენოლოგთა წრეების მიერ ჩატარებული საინტერესო და სასარგებლო საქმიანობა.

შეკრებამ ხელი შეუწყო მოსწავლე ახალგაზრდობის მშობლიური მხარის ბუნების შესწვლით დაინტერესებას, ამინდზე დაკვირვების ჩვევების გამომუშავებას და გარემოს გასუფთავების მიზნით სამეცნიერო-სახიერო და სოფლის მეურნეობისათვის სასარგებლო საქმიანობაში კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების ფართო აქტივის ჩაბმას.

ნორჩ ფენოლოგთა მე-8 კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის 2 ქალაქისა და 41 რაიონის საშუალო და რვაწლიანი სკოლების 450 მოსწავლემ, რომელთაგან რესპუბლიკური კონფერენციის შემაჯამებელ სხდომებზე მონაწილეობისათვის გამოძახებულ იქნა 150 მოსწავლე და ხელმძღვანელი, მათ წარმოადგინეს 19 სხვადასხვა დასახელების 50 თემა. მონაწილენი წინა წლებთან შედარებით უფრო ვრცელი და შინაარსიანი მოხსენებებით გამოცხადდნენ, ფოტოფენოლოგების მიერ განსაკუთრებული ყურადღება იქნა გამახვილებული ბუნების დაცვის საკითხებზე, სამკურნალო მცენარეების შესწავლაზე, სოფლის

მეურნეობის მიმდინარე სამუშაოების კალენდრის შედგენაზე, მცენარეთა ყვავილობის ფაზებზე და სხვა. ზოოფენოლოგებმა მსჯელობის საგნად გახადეს ფრინველთა მიმოფრენა, მათი ცხოვრების ნირი, გადაშენების გზაზე მდგომი ფრინველების გამრავლების საკითხები.

ნორჩ ფენოლოგთა მე-8 კონფერენციის მუშაობის დღეებში გაიხსნა რესპუბლიკური გამოფენა „ჩემი სოფლის შემოდგომა" დევიზით „ბუნებას, სიცოცხლის წყაროს, სიკვდილი არ უწერია". გამოფენილი იყო 35 რაიონის მიერ წარმოდგენილი სამკურნალო მცენარეების ხარისხიანი ჰერბარიუმები, გრაფიკები, ალბომები, პლანშეტები, მხარეთმცოდნეობითი და ეთნოგრაფიული მასალები, სკოლის ნაკვეთებზე მოყვანილი სხვადასხვა ხილის ნიმუშები და ექსპონატები. საგამოფენო სტენდებთან ჩატარდა მეცნიერების გასაუბრება კონფერენციის მონაწილეებთან. მოწონება დაიმსახურეს მახარაძის რაიონის სოფელ ასკანის, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნიგვზიანის, ცაგერის რაიონის სოფელ ორბელის, ზესტაფონის რაიონის სოფელ დილიკაურის, გეგეჭკორის რაიონის სოფელ ბანძის, სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანის, ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ხევის, თიანეთის რაიონის სოფელ ზარიძეების, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ კირცხის, ქარელის რაიონის სოფელ ზღუდერის, ახმეტის რაიონის სოფელ აწყურის, სოფელ ქვემო ალვანის, წყალტუბოს რაიონის სოფელ ბროწეულას, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის, ყვარლის რაიონის სოფელ საბუის, დმანისის რაიონის სოფელ განთიადის, საგარეჯოს რაიონის სოფელ გომბორისა და სხვა საშუალო და რვაწლიანი სკოლების მიერ წარმოდგენილმა მასალებმა.

ნორჩ ფენოლოგთა მე-8 რესპუბლიკური კონფერენცია შეაჯამეს ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორებმა რევაზ გაგნიძემ, გურანდა ღვალაძემ და გია ნახუცრიშვილმა, რომელთაც პრაქტიკული რჩევა-დარიგებანი მისცეს მოსწავლეებსა და მათ ხელმძღვანელ პედაგოგებს. ნორჩ ფენოლოგთა მე-8 კონფერენცია კიდევ ერთი ნათელი დადასტურება იყო იმისა, თუ როგორი მონდომებითა და სიყვარულით ეკიდებიან რესპუბლიკის პიონერ-მოსწავლეები მშობლიური მხარის ფლორისა და ფაუნის შესწავლის, დაცვისა და გამრავლების საქმეს.

ნორჩ ფენოლოგთა მე-8 კონფერენციის მაღალ დონეზე ჩატარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას ხელი შეუწყო განათლების განყოფილებებისა და კომკავშირის რაიკომებისა და ქალაქკომების აქტიურმა მონაწილეობამ.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ გადაწყვიტეს:

1. ნორჩ ფენოლოგთა მე-8 რესპუბლიკურ კონფერენციაზე საუკეთესო თემებისა და თვალსაჩინო მასალების წარმოდგენისათვის საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სიგელებით დაჯილდოვდეს 54 მოსწავლე (დანართი № 1).

2. ნორჩ ფენოლოგთა მუშაობაში მოსწავლეთა ფართო ჩაბმისა, მე-8 რესპუბლიკური კონფერენციის მომზადება-ჩატარებაში აქტიური მონაწილეობისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სიგელებით დაჯილდოვდეს რესპუბლიკის სკოლების 35 მასწავლებელი (დანართი № 2).

3. ნორჩ ფენოლოგთა მე-8 რესპუბლიკური კონფერენციის მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნორჩ ტურისტთა რესპუბლიკური სადგურის სიგელებით დაჯილდოვდეს 38 მოსწავლე (დანართი № 3).

4. ნორჩ ფენოლოგთა ჯგუფებთან ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, მე-8 რესპუბლიკური კონფერენციის მომზადებასა და ჩატარებაში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდეს „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით 6 მასწავლებელი (დანართი № 4).

5. ნორჩ ფენოლოგთა მე-9 რესპუბლიკური კონფერენცია ჩატარდეს 1983 წლის ნოემბერში და მიეძღვნას საკავშირო კომკავშირის 65-ე წლისთავს, მოეწყოს ფენოლოგთა ნამუშევრების გამოფენა „შემოდგომა ჩემს სოფელში“, კონფერენციის ჩატარება დაევალოს ნორჩ ტურისტთა რესპუბლიკურ სადგურს (ამხ. ჯ. სამხარაძე).

6. დამტკიცდეს ნორჩ ფენოლოგთა მე-9 რესპუბლიკური კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა (დანართი № 5).

7. დამტკიცდეს ნორჩ ფენოლოგთა მე-9 რესპუბლიკური კონფერენციისათვის გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა) და საქართველოს ალკკ ცენტრალური ომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილებას (ამხ. გ. ბუკია).

**საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველი მოადგილე**

**ზ. ლომიძე**

**საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი**

**მ. წიკლაური**

დანართი № 1

ნორჩ ფენოლოგთა მე-8 რესპუბლიკურ კონფერენციაზე ხარისხიანი თემებისა და თვალსაჩინო მასალების წარმოდგენისათვის საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სიგელებით დაჯილდოებულ მოსწავლეთა სია

1. შავთვალაძე ლია — ახალციხის რაიონის სოფელ ზიკილიის საშუალო სკოლის მოსწავლე
2. ბურჯალიანი ელისო — ცაგერის რაიონის სოფელ ორბელის საშუალო სკოლის მოსწავლე
3. კახნიაშვილი თორნიკე — ზესტაფონის რაიონის სოფელ დილიკაურის საშუალო სკოლის მოსწავლე
4. შაიშმელაშვილი ვერა — სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანის საშუალო სკოლის მოსწავლე
5. ბერიძე ფრიდონ ავთანდილის ძე — ახალციხის რაიონის სოფელ აწყურის საშუალო სკოლის მოსწავლე
6. ქეიშვილი ვერა — მახარაძის რაიონის სოფელ ასკანის საშუალო სკოლის მოსწავლე
7. რამაზაშვილი თამარ — ახმეტის რაიონის სოფელ აწყურის საშუალო სკოლის მოსწავლე
8. ბერიძე ლია — ზესტაფონის რაიონის სოფელ დილიკაურის საშუალო სკოლის მოსწავლე
9. ბერიძე ეკა — დმანისის რაიონის სოფელ განთიადის საშუალო სკოლის მოსწავლე
10. ქასრაძე ირა თორნიკეს ძე — ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნიგვზიანის საშუალო სკოლის მოსწავლე
11. ცქვიტიშვილი ნინო — მახარაძის რაიონის სოფელ ასკანის საშუალო სკოლის მოსწავლე
12. კობახიძე ხათუნა — ამბროლაურის რაიონის სოფელ ნიკორწმინდის საშუალო სკოლის მოსწავლე
13. ჭითანავა მალხაზ — ჩხოროწყუს რაიონის სოფელ კირცხის საშუალო სკოლის მოსწავლე
14. ჯოხტაბერიძე ზაზა — ქარელის რაიონის სოფელ ზღუდერის საშუალო სკოლის მოსწავლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. თორღვაიძე ეთერ — ახმეტის რაიონის სოფელ ქვემო ალვანის საშუალო სკოლის მოსწავლე
16. თაუშვილი ბექან — ხობის რაიონის სოფელ ახალი ხიბულის საშუალო სკოლის მოსწავლე
17. შალვაშვილი დოდო — სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანის საშუალო სკოლის მოსწავლე
18. ყალაიჩიშვილი მარინა — ბოლნისის რაიონის სოფელ ბალიჭის საშუალო სკოლის მოსწავლე
19. გორგოძე რაულ — თერჯოლის რაიონის სოფელ საზანოს საშუალო სკოლის მოსწავლე
20. ვარსიმაშვილი ელზა — სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანის საშუალო სკოლის მოსწავლე
21. შალვაშვილი ზაზა — სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანის საშუალო სკოლის მოსწავლე
22. სვანიძე ნაირა — ახმეტის რაიონის სოფელ აწყურის საშუალო სკოლის მოსწავლე
23. ემხვარი ციცინო — წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯგალის საშუალო სკოლის მოსწავლე
24. ფოფხაძე ნინო — ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნიგვზიანის საშუალო სკოლის მოსწავლე
25. ბელქანია ეკა — წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯგალის საშუალო სკოლის მოსწავლე
26. დოგრაშვილი ნატო — მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ზეგნის საშუალო სკოლის მოსწავლე
27. შაიშმელაშვილი მალხაზ — სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანის საშუალო სკოლის მოსწავლე
28. ფაღავა მაია — გეგეჭკორის რაიონის პიონერთა სახლის მოსწავლე
29. თევდორაძე ელენე — წყალტუბოს რაიონის სოფელ ბროწეულას საშუალო სკოლის მოსწავლე
30. ციკოლია ელდარ — ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის საშუალო სკოლის მოსწავლე

31. გელაძე ლელა — ყაზბეგის რაიონის სოფელ სიონის საშუალო სკოლის მოსწავლე

32. აფხაზავა ქეთევან — ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნიგვზიანის საშუალო სკოლის მოსწავლე

33. მეგრელიძე ინდირა — მახარაძის რაიონის სოფელ ასკანის საშუალო სკოლის მოსწავლე

34. ჩოგალაური ხათუნა — საგარეჯოს რაიონის სოფელ გომბორის საშუალო სკოლის მოსწავლე

35. გორგოძე ქეთევან — მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ზეგნის საშუალო სკოლის მოსწავლე

36. გრიგალაშვილი მაია — ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ხევის საშუალო სკოლის მოსწავლე

37. ბურჯალიანი იზა — ცაგერის რაიონის სოფელ ორბელის საშუალო სკოლის მოსწავლე

38. ჭითანავა რამაზ — ჩხოროწყუს რაიონის სოფელ კირცხის საშუალო სკოლის მოსწავლე

39. გრიგალაშვილი გელა — ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ხევის საშუალო სკოლის მოსწავლე

40 ღვინიაშვილი გიორგი — თიანეთის რაიონის სოფელ ზარიძეების რვაწლიანი სკოლის მოსწავლე

41. კილაძე მარიკა — ხაშურის რაიონის სოფელ წაღვლის საშუალო სკოლის მოსწავლე

42. ჭონქაძე თამილა — თიანეთის რაიონის სოფელ ზარიძეების რვაწლიანი სკოლის მოსწავლე

43. ფხაკაძე ნინო — ქუთაისის მე-20 საშუალო სკოლის მოსწავლე

44. გუჯაბიძე მაია — ყვარლის რაიონის სოფელ საბუის საშუალო სკოლის მოსწავლე

45. გაბილაიძე დავით — ახმეტის რაიონის სოფელ ქვემო ალვანის საშუალო სკოლის მოსწავლე

46. ჩხაიძე მედეა — ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის საშუალო სკოლის მოსწავლე

47. კვანტალიანი ელისო — გეგეჭკორის რაიონის სოფელ ბანძის საშუალო სკოლის მოსწავლე

48. დეკანოსიძე ქეთინო — ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ბაკურიანის ქართული საშუალო სკოლის მოსწავლე

49. მეტრეველი ციცინო — გარდაბნის რაიონის სოფელ ახალსოფლის საშუალო სკოლის მოსწავლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

50. გრიგალაშვილი ლელა — ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ხევის საშუალო სკოლის მოსწავლე

51. იაშვილი ნანა — კასპის რაიონის სოფელ კავთისხევის საშუალო სკოლის მოსწავლე

52. ქიქილაშვილი ინგა — კასპის რაიონის სოფელ კავთისხევის საშუალო სკოლის მოსწავლე

53. ბარდაძე ირინა — კასპის რაიონის სოფელ კავთისხევის საშუალო სკოლის მოსწავლე

54. ფოფხაძე დავით — ამბროლაურის რაიონის სოფელ ბუგეულის საშუალო სკოლის მოსწავლე

დანართი № 2

**ნორჩ ფილოლოგთა მუშაობაში მოსწავლეთა ფართო ჩაბმისა და მე-8 რესპუბლიკური კონფერენციის მომზადება-ჩატარებაში აქტიური მონაწილეობისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სიგელებით დაჯილდოებულ მასწავლებელთა ს ი ა**

1. ნაჭყებია ზეინაბ ვარლამის ასული — ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის საშუალო სკოლა
2. ფარცვანია ზოია ვლადიმერის ასული — ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის საშუალო სკოლა
3. ურიდია ნორა ივლიანეს ასული — გეგეჭკორის რაიონის სოფელ ბანძის საშუალო სკოლა
4. კირკიტაძე ბონდო ნიკოლოზის ძე — თერჯოლის რაიონის სოფელ საზანოს საშუალო სკოლა
5. ხურციძე ნარგიზა ნიკოლოზის ასული — წყალტუბოს რაიონის სოფელ ბროწეულას საშუალო სკოლა
6. მიქაბერიძე ნათელა ვაზარეს ასული — ბორჯომის რაიონის სოფელ ბაკურიანის ქართული საშუალო სკოლა
7. გუგუნაშვილი ლია შალვას ასული — გარდაბნის რაიონის სოფელ ახალსოფლის საშუალო სკოლა
8. მღისწრაფიშვილი კლარა სარდიონის ასული — ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნიგვზიანის საშუალო სკოლა
9. შაიშმელაშვილი გულნარა სოლომონის ასული — სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანის საშუალო სკოლა
10. ბუალავა ლალი ხუტას ასული — წალენჯიხის რაიონის დაბა ჯვარის საშუალო სკოლა
11. ხახუტაიშვილი ალექსანდრე დავითის ძე — ქობულეთის რაიონის სოფელ ჭახათის საშუალო სკოლა
12. დოგრაშვილი ანზორ პეტრეს ძე — მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ზეგნის საშუალო სკოლა
13. ქიტაშვილი ნატო ალექსის ასული — ახმეტის რაიონის სოფელ აწყურის საშუალო სკოლა
14. აბრამიშვილი ალექსი ალექსანდრეს ძე — ახმეტის რაიონის სოფელ აწყურის საშუალო სკოლა

15. ქვარცხავა ანგელინა პართენის ასული — ხობის რაიონის სოფელ ახალი ხიბულის საშუალო სკოლა
16. ბურჯალიანი ელისო ნოდარის ასული — ცაგერის რაიონის სოფელ ორბელის საშუალო სკოლა
17. ფარჯიანი დოდო აბოს ასული — ამბროლაურის რაიონის სოფელ ნიკორწმინდის საშუალო სკოლა
18. ალადაშვილი იზოლდა — ამბროლაურის რაიონის სოფელ ხოტევის საშუალო სკოლა
19. გოჩაშვილი ჟუჟუნა ანზორის ასული — საგარეჯოს რაიონის სოფელ გომბორის საშუალო სკოლა
20. სანებლიძე ჯემსი სერაპიონის ძე — ქარელის რაიონის სოფელ ზღუდერის საშუალო სკოლა
21. სვანიძე თამარ ვარლამის ასული — ახალციხის რაიონის სოფელ ზიკილიის საშუალო სკოლა
22. გელაშვილი ნატო ვლადიმერის ასული — ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ხევის საშუალო სკოლა
23. კაპანაძე შალვა ვალერის ძე — ჭიათურის რაიონის სოფელ კაცხის საშუალო სკოლა
24. ადუნია გიორგი მალხაზის ძე — ჩხოროწყუს რაიონის სოფელ კირცხის საშუალო სკოლა
25. აზიკური ეთერ შიოს ასული — ახმეტის რაიონის სოფელ ქვემო ალვანის საშუალო სკოლა
26. ეჯიბაძე დავით დავითის ძე — ზესტაფონის რაიონის სოფელ დილიკაურის საშუალო სკოლა
27. ბერიშვილი გივი ალექსანდრეს ძე — ონის რაიონის პიონერთა სასახლის მეთოდისტი
28. ლომიძე შალვა ივანეს ძე — ხაშურის რაიონის სოფელ წაღვლის საშუალო სკოლა
29. გუჯაბიძე გოგონა ვარლამის ასული — ქუთაისის მე-20 საშუალო სკოლა
30. პაპიაშვილი ავთანდილ გიორგის ძე — ყაზბეგის რაიონის სოფელ სიონის საშუალო სკოლა
31. გორგოძე ლალი ბარნაბის ასული — მაიაკოვსკის რაიონის სოფელ დიმის საშუალო სკოლა

32. ვახტანგაძე რუსუდან მიხეილის ასული — აბროლაურის რაიონის მე-4 საშუალო სკოლა

33. ავქობაშვილი დავით ალექსანდრეს ძე — ბოლნისის რაიონის სოფელ ბალიჭის რვაწლიანი სკოლა

34. კიკვიძე გურამ ალექსანდრეს ძე — მაიაკოვსკის რაიონის სოფელ როხის საშუალო სკოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 3

## ნორჩ ფენოლოგთა მე-8 რესპუბლიკური კონფერენციის მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნორჩ ტურისტთა რესპუბლიკური სადგურის სიგელებით დაჯილდოებულ მოსწავლეთა სია

1. მარუაშვილი იოსებ — თერჯოლის რაიონის სოფელ საზანოს საშუალო სკოლის მოსწავლე
2. მოდებაძე გოჩა — თერჯოლის რაიონის სოფელ საზანოს საშუალო სკოლის მოსწავლე
3. ჭელიძე ანზორ — წყალტუბოს რაიონის სოფელ ბროწეულის საშუალო სკოლის მოსწავლე
4. ხალიევი ლია — ბორჯომის რაიონის სოფელ ბაკურიანის ქართული საშუალო სკოლის მოსწავლე
5. ხალიევი დათო — ბორჯომის რაიონის სოფელ ბაკურიანის ქართული საშუალო სკოლის მოსწავლე
6. ხუციშვილი ლია — ბორჯომის რაიონის სოფელ ბაკურიანის ქართული საშუალო სკოლის მოსწავლე
7. თორაძე მარეხ — გარდაბნის რაიონის სოფელ ახალსოფლის საშუალო სკოლის მოსწავლე
8. საკიანი მარტინ — ახალციხის რაიონის სოფელ აწყურის საშუალო სკოლის მოსწავლე
9. მუმლაძე გელა — ახალციხის რაიონის სოფელ აწყურის საშუალო სკოლის მოსწავლე
10. გოგოლაური მაია — ახალციხის რაიონის სოფელ აწყურის საშუალო სკოლის მოსწავლე
11. გოგელაშვილი ლევან — ყვარლის რაიონის სოფელ საბუის საშუალო სკოლის მოსწავლე
12. უბილავა ნატო — წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯვრის საშუალო სკოლის მოსწავლე
13. ეგიძე ნინო — ქობულეთის რაიონის სოფელ ჭახათის საშუალო სკოლის მოსწავლე
14. ქათამაძე ირინე — ქობულეთის რაიონის სოფელ ჭახათის საშუალო სკოლის მოსწავლე

15. ხარატიშვილი მაია — ახმეტის რაიონის სოფელ აწყურის საშუალო სკოლის მოსწავლე
16. სიჭინავა ლაშა — ხობის რაიონის სოფელ ახალი ხიბულის საშუალო სკოლის მოსწავლე
17. დოხნაძე მადონა — ამბროლაურის რაიონის სოფელ ნიკორწმინდის საშუალო სკოლის მოსწავლე
18. კობახიძე მზია — ამბროლაურის რაიონის სოფელ ხოტევის საშუალო სკოლის მოსწავლე
19. კობახიძე სოფიკო — ამბროლაურის რაიონის სოფელ ხოტევის საშუალო სკოლის მოსწავლე
20. გურგენიძე ბეჟან — ამბროლაურის რაიონის სოფელ ხოტევის საშუალო სკოლის მოსწავლე
21. არაბული რუსუდან — საგარეჯოს რაიონის სოფელ გომბორის საშუალო სკოლის მოსწავლე
22. დაუთაშვილი ციცინო — დმანისის რაიონის სოფელ განთიადის საშუალო სკოლის მოსწავლე
23. გაგოლევი ემზარ — ქარელის რაიონის სოფელ ზღუდერის საშუალო სკოლის მოსწავლე
24. გაჩეჩილაძე ნინო — ახალციხის რაიონის სოფელ ზიკილიის საშუალო სკოლის მოსწავლე
25. ბუხნიკაშვილი სარდიონ — ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ხევის საშუალო სკოლის მოსწავლე
26. მოდებაძე ინგა — ჭიათურის რაიონის სოფელ კირცხის საშუალო სკოლის მოსწავლე
27. მოდებაძე მანანა — ჭიათურის რაიონის სოფელ კირცხის საშუალო სკოლის მოსწავლე
28. გაჩეჩილაძე ხვიჩა — ცხაკაიის რაიონის სოფელ ფოცხოს საშუალო სკოლის მოსწავლე
29. საჯაია მამუკა — ცხაკაიის რაიონის სოფელ ფოცხოს საშუალო სკოლის მოსწავლე
30. გუგუშაშვილი გოჩა — ონის რაიონის საშუალო სკოლის მოსწავლე
31. გელაშვილი ნონა — ხაშურის რაიონის სოფელ წაღვლის საშუალო სკოლის მოსწავლე
32. პაპიაშვილი მამუკა — ყაზბეგის რაიონის სოფელ სიონის საშუალო სკოლის მოსწავლე

33. კალატოზიშვილი გიზი — ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანის საშუალო სკოლის მოსწავლე

34. ოქობლილი თამილა — ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანის საშუალო სკოლის მოსწავლე

35. გრძელიძე მარინა — მაიაკოვსკის რაიონის სოფელ დიმის საშუალო სკოლის მოსწავლე

36. ყიფიანი მალხაზ — ამბროლაურის რაიონის საშუალო სკოლის მოსწავლე

37. ბერიძე ნინო — ბოლნისის რაიონის სოფელ ბალიჭის საშუალო სკოლის მოსწავლე

38. ორმოცაძე ნინო ტარიელის ასული — მაიაკოვსკის რაიონის სოფელ როხის საშუალო სკოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ნორჩ ფენოლოგთა ჯგუფებთან ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ სახალხო განათლების წარჩინებულის სამკერდე ნიშნით დაჯილდოებული შემდეგი პედაგოგები:**

1. ტყეშელიაძე ელენე მიხეილის ასული — მახარაძის რაიონის სოფელ ასკანის საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი
2. აგაშენაშვილი აზა ქრისტეფორის ასული — თიანეთის რაიონის სოფელ ზარიძეების რვაწლიანი სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი
3. ქსენადოხოვა ნადია პავლეს ასული — დმანისის რაიონის სოფელ განთიადის საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი
4. ქემაშვილი მარიამ ლევანის ასული — ახალციხის რაიონის სოფელ აწყურის საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი
5. გოგილაშვილი ნათელა ივანეს ასული — ყვარლის რაიონის სოფელ საბუის საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი
6. გეგუჩაძე შურა რაჟდენის ასული — კასპის რაიონის სოფელ კავთისხევის საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი

**დანართი № 5**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნორჩ ფენოლოგთა მე-9 რესპუბლიკური კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა

1. გაგნიძე რ. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის თანამშრომელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე)
2. ნახუცრიშვილი გ. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის თანამშრომელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი
3. ზარქუა ე. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი
4. ბუკია გ. — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების გამგე
5. სამხარაძე ჯ. — ნორჩ ტურისტთა რესპუბლიკური სადგურის დირექტორი
6. თუშაბრამიშვილი ლ. — ნორჩ ტურისტთა რესპუბლიკური სადგურის მეთოდისტი
7. ჯაფარიძე ა. — ნორჩ ტურისტთა რესპუბლიკური სადგურის მეთოდისტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1981 წლის 13 აპრილის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

### რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში უცხოური ენების გაღრმავებული სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შ ე ს ა ხ ე ბ

როგორც სკოლების სამმართველოს ცნობიდან ირკვევა, რესპუბლიკის იმ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სადაც უცხოური ენების გაღრმავებული სწავლებაა შემოღებული ან რიგი საგნები უცხოურ ენაზე ისწავლება, მნიშვნელოვანი მუშაობა ტარდება საგნის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე სწავლებისათვის. ამ სკოლებში შექმნილია დამაკმაყოფილებელი სასწავლო-მატერიალური ბაზები, ლინგაფონის კაბინეტები აღჭურვილია საჭირო სასწავლო-ტექნიკური საშუალებებითა და დიდაქტიკურ-თვალსაჩინო მასალებით.

მასწავლებელთა უმრავლესობა შემოქმედებითად ასწავლის საგანს, დამაკმაყოფილებლად ფლობს სწავლებაში ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების ხერხებსა და მეთოდებს, პროგრამულ მასალას მიგნებულად იყენებს მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური, ინტერნაციონალური და პატრიოტული აღზრდისათვის.

ამასთან ირკვევა, რომ უცხოური ენის გაღრმავებული სწავლების საქმეში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებები, რომელთა გამოსასწორებლად დროული, ეფექტიანი ღონისძიებებია გასატარებელი.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ, ქ. ქ. ბათუმის, სოხუმის, ფოთის, ქუთაისის, რუსთავის, თელავის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებებმა:

1. 2. სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე განიხილონ და ღრმად გააანალიზონ სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილება და ცნობა „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში უცხოური ენის გაღრმავებული სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ", ოპერატიულად დაიყვანონ სკოლებამდე და მიიღონ ზომები მისი განხორციელებისათვის.

1. 3. ამავე საბჭოების სხდომებზე პერიოდულად განიხილონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში უცხოური ენის გაღრმავებული სწავ-

ლების მდგომარეობა და განახორციელონ სისტემატური კონტროლი და ხელმძღვანელობა მათ მუშაობაზე;

1. 4. მიიღონ ზომები სკოლებში დამონტაჟებული ლინგაფონის კაბინეტებისა და სწავლების ტექნიკურ საშუალებათა სისტემატურად გამოყენებისათვის. იზრუნონ ლაბორანტების ტექნიკური წიგნიერების დონის ამაღლებისათვის. კიდევ უფრო აამაღლონ უცხოური ენის დარგში სკოლების დირექტორის მოადგილეების როლი და პასუხისმგებლობა მოცემული საგნის სწავლებაში.

1. 5. უზრუნველყონ ამ სკოლებში უცხოურ ენაზე ბეჭდვის მანქანების შეძენა, რათა IX—X კლასებში შრომითი სწავლებისათვის განკუთვნილი საათები მიზნობრივად იქნას გამოყენებული.

1. 6. მასწავლებელთა დახელოვნების ღონისძიებეთა გრაფიკი შეადგინონ იმდაგვარად, რომ ამ ტიპის სკოლების უცხოური ენის მასწავლებლები ხუთ წელიწადში ერთხელ იმაღლებდნენ კვალიფიკაციას.

1. 7. აღკვეთონ მცირე რაოდენობის საათებზე მასწავლებელთა დანიშვნა.

2. სკოლის დირექტორებმა:

2. 1. სისტემატური, გადამჭრელი ღონისძიებანი განახორციელონ უცხოური ენის სწავლებაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, მიაღწიონ იმას, რომ უცხოური ენის მასწავლებელთა მეთოდგაერთიანება და ღია გაკვეთილები ემსახურებოდნენ მასწავლებელთა დახელოვნებისა და პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებას.

2. 2. მიიღონ ზომები, რათა უცხოური ენის მასწავლებლებმა, რომლებიც საგანს გაღრმავებული სწავლების პროგრამით ასწავლიან, სისტემატურად თვითგანათლების გზით აიმაღლონ კვალიფიკაცია, ეცნობოდნენ თანამედროვე ლიტერატურას, გულდასმით ემზადებოდნენ გაკვეთილისათვის, ზრუნავდნენ სასწავლო პროცესის მიზანსწრაფულად **წარმართვისათვის, მოსწავლეებს** უვითარებდნენ დამოუკიდებელი აზროვნებისა და საკუთარი აზრის გამოთქმის უნარს ამა თუ იმ საკითხთან და მოვლენასთან დაკავშირებით. პროგრამული მასალის გადაცემის პროცესში დიდ ადგილს უთმობდნენ მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური და პატრიოტულ აღზრდას; სწავლების პროცესში ეფექტიანად, უნარიანად იყენებდნენ ლინგაფონურ კაბინეტს, სწავლების ტექნიკურ საშუალებებსა და თვალსაჩინო-დიდაქტიკურ მასალებს. საგნის მასწავლებლებთან სისტემატური მეთოდური მუშაობით აღწევდნენ საუკეთესო

შედეგს — ყველა მოსწავლეს ჰქონდეს ენის პრაქტიკულად გამოყენების უნარ-ჩვევები.

3. ქ. რუსთავის სახალხო განათლების განყოფილებამ (ამხ. ზ. როგავა) დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები მე-17 საშუალო სკოლაში უცხოური ენის გაღრმავებული სწავლებისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად, რისთვისაც დროულად შეარჩიოს და დანიშნოს უცხოური ენის კაბინეტის ლაბორანტი; სკოლა თანდათანობით გადაიყვანოს გერმანული ენის სწავლებაზე.

4. სკოლების სამმართველომ (ამხ. კ. სუჯაშვილი): სასკოლო მეთოდური ცენტრის მეთოდისტების მეშვეობით სისტემატური კონტროლი და დახმარება გაუწიოს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს უცხოური ენის გაღრმავებული სწავლებისა და რიგი საგნების უცხოურ ენაზე სწავლების საქმეში. იზრუნოს სასწავლო პროგრამების შემდგომი სრულყოფისა და შესაბამისად ახალი სახელმძღვანელოების, თვალსაჩინო-დიდაქტიკური მასალების, მეთოდური და დამხმარე ლიტერატურის მომზადების, ქართულად თარგმნისა და გამოცემისათვის.

5. მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე) საფუძვლიანად შეისწავლოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში უცხოური ენის გაღრმავებული სწავლების, აგრეთვე რიგი საგნების უცხოურ ენაზე სწავლების მოთხოვნილებანი თვალსაჩინო-დიდაქტიკურ მასალებზე, სწავლების ტექნიკურ საშუალებებზე და ამის საფუძველზე განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებანი.

6. სასწავლო კინოსა და ტელეგადაცემათა რესპუბლიკურმა მეთოდკაბინეტმა (ამხ. დ. გვალია) შეიმუშაოს და მოკლე ხანში უზრუნველყოს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, სახალხო განათლების ორგანოები საინსტრუქციო-მეთოდური წერილებით ლინგაფონური დანადგარებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების სწავლებაში გამოყენების თაობაზე.

7. კოლეგიის გადაწყვეტილება და ცნობა „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში უცხოური ენის გაღრმავებული სწავლების შესახებ“ სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ზემოაღნიშნული ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს. დაიბეჭდოს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში. სკოლების სამმართველომ (ამხ. კ. სუჯაშვილი) დააწესოს კონტროლი მის შესრულებაზე.

მინისტრი ო. ქინქლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ც ნ ო ბ ა

## რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში უცხოური ენების გაღრმავებული სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შ ე ს ა ხ ე ბ

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 27 მაისის დადგენილების „უცხოური ენების სწავლების გაუმჯობესების შესახებ“ შესასრულებლად საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებმა გაატარეს მნიშვნელოვანი ღონისძიებები.

რესპუბლიკის 16 ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლაში შემოღებულია ინგლისური ენის, 5-ში გერმანული და 5 სკოლაში — ფრანგული ენის გაღრმავებული სწავლება.

უცხოური ენების ცოდნას მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის სხვადასხვა დარგის სპეციალისტების მიერ მნიშვნელოვანი როლი ენიჭება საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ურთიერთობის შემდგომი გაფართოებისათვის და, ამიტომაც, იმთავითვე ასეთი ტიპის სკოლების გახსნის მიზანი არ იყო უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლებისათვის კვალიფიციური აბიტურიენტების მომზადება, არამედ მისცეს უცხოური ენის ცოდნა ახალგაზრდობას, რომელსაც შემდგომში საქმიანობა მოუწევს სახალხო მეურნეობის მნიშვნელოვან უბნებზე.

ახალი პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით მუშაობაზე გადასვლასთან დაკავშირებით შინაარსისა და პრინციპების განსაზღვრამდე მეტი ყურადღება დაეთმო უცხოური ენების სწავლების ახლებურ მეთოდებს. გამახვილდა ყურადღება ენის პრაქტიკულ ათვისებაზე.

გადამუშავდა ტიპობრივი პროგრამები სკოლებისათვის, რომლებშიც რიგი საგნები უცხოურ ენაზე ისწავლება, დაისტამბა და დაეგზავნა სკოლებს. დაიწყო ორიგინალური სახელმძღვანელოების გადამუშავება ახალი პროგრამების შესაბამისად. უკვე იბეჭდება მე-2 კლასის სახელმძღვანელოები ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებში, მომზადებულია დასაბეჭდად მე-3 კლასის სახელმძღვანელოები.

დაიბეჭდა და სკოლებს დაურიგდა მასწავლებლის დამხმარე ბროშურები ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებში.

ქართულ ენაზე გადმოითარგმნა და მომზადდა დასაბეჭდად მ. შენერისა და ა. გორჩევის დამხმარე სახელმძღვანელო — ტიპობრივი დავალებები ზეპირმეტყველებაში ლინგაფონის პრაქტიკუმისათვის — სავარჯიშოები გადამუშავდა ორიგინალურ სახელმძღვანელოებში მოთავსებული მასალის გათვალისწინებით. მომზადდა და იბეჭდება გრამატიკული ცხრილები, ტაბულები და ფონეტიკური სავარჯიშოები ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებში.

მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გატარებული სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების მიერ ამ ტიპის სკოლებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და განმტკიცებისათვის. ყველა სკოლაშია მოწყობილი ლინგაფონის კაბინეტი — აღჭურვილი სათანადო სწავლების ტექნიკური საშუალებებით. რესპუბლიკის 4 სკოლაში კი ასეთი სახის ორ-ორი კაბინეტია (ქ. ქ. თბილისის 43-ე და 47-ე, ქუთაისის მე-3, რუსთავის მე-2 სკოლები). გარდა ამისა, ამ ტიპის სკოლებში, სწავლების სპეციფიკიდან გამომდინარე (გაკვეთილზე კლასი სამ ჯგუფად იყოფა), შექმნილია დამატებით 7—8 და ზოგ სკოლებში 13—14—15 კაბინეტი. ყველა ეს კაბინეტი აღჭურვილია თვალსაჩინოებით და სწავლების ტექნიკური საშუალებებით.

სკოლები დაკომპლექტებულია მასწავლებელთა კვალიფიციური კადრებით. ყველა სკოლას ჰყავს უცხოური ენის მცოდნე ლაბორანტი და ბიბლიოთეკარი, ბიბლიოთეკებში საკმაოდაა თავმოყრილი უცხოური ენის კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა, რომლითაც სარგებლობენ მასწვლებლებიც და მოსწავლეებიც.

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ სკოლების მეთოდგაერთიანებები, სხდომებზე მოსასმენად დაგეგმილია აქტუალური თეორიული და მეთოდური ხასიათის საკითხები, სისტემტურად ხდება მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების გაზიარება ღია გაკვეთილების ჩატარებით და ურთიერთდასწრებით. სკოლის ხელმძღვანელობის მიერ სათანადო კონტროლი და ხელმძღვანელობაა დაწესებული მასწავლებელთა მუშაობაზე. დირექტორის მოადგილე უცხოური ენების სწავლების დარგში სისტემატურად ისმენს მათ გაკვეთილებს კონტროლისა და დახმარების მიზნით. სკოლები პერიოდულად იხილავენ უცხოური ენის სწავლების მდგომარეობას პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე.

მუშაობის ამგვარად წარმართვამ განაპირობა ის, რომ მასწავლებელთა დიდი უმრავლესობა სისტემატურად მუშაობს საკუთარი იდეურ-

პოლიტიკური, მეცნიერული და პედაგოგიურ-მეთოდური ცოდნის დონის შემდგომი ამაღლებისათვის, ეცნობა სწავლების ახალ მეთოდებსა და ხერხებს, გულმოდგინედ ემზადება თითოეული გაკვეთილისათვის. მიგნებულად იყენებს სწავლების ტექნიკურ საშუალებებს და თვალსაჩინოებას, ატარებს მეთოდურად გამართულ გაკვეთილებს, სადაც სათანადო ადგილი ეთმობა პოლიტიკურ, პატრიოტულ და ინტერნაციონალურ აღზრდას, მოსწავლეებში სამეტყველო ჩვევების გამომუშავების მიზნით იყენებს დიალოგურ და მონოლოგურ მეტყველებას, მომზადებულ და მოუმზადებელ სიტუაციებს, ეწვა მრავალფეროვან კლასგარეშე მუშაობას (მეტყველების, თარგმნის, დრამატული, თვალსაჩინოების დამამზადებელი, სიმღერისა და ლექსების შემსწავლელი, კორესპონდენტთა წრეები), რის შედეგადაც აღწევს მოსწავლეთა მომზადების სასურველ დონეს. მოსწავლეები თავისუფლად მსჯელობენ მასწავლებლის მიერ წამოწეულ პრობლემებზე, გამოთქვამენ მოსაზრებას ამა თუ იმ საკითხზე. მაღალია მათი კითხვისა და წერის კულტურა. ასეთი მუშაობით გამოირჩევიან ინგლისური ენის მასწავლებლები: ნ. ბაკურაძე, მ. მიქაშავიძე (ქ. თბილისის მე-5 საშუალო სკოლა), ნ. მაღრაძე, ლ. ხაფავა, ა. ერაგია, ქ. კიკაბიძე, რ. ბაბურაშვილი (თბილისის 24-ე საშუალო სკოლა), ე. ავეტისოვა, გ. დადუმაძე, ე. ჩხეიძე (43-ე საშუალო სკოლა), ზ. გარსევანიშვილი, ს. მანუკიანი, ნ. ნადარეიშვილი (44-ე საშუალო სკოლა), ლ. აბაშიძე, ბ. მიქელაძე, მ. ფარცხვანია, ე. ჯანელიძე (47-ე საშუალო სკოლა), ქ. არახამია, დ. რაქვიაშვილი, ნ. ჩიქვანაია, ლ. შენგელია (53-ე საშუალო სკოლა), ლ. მაჭარაშვილი, ნ. ბობოხიძე, ი. ოვანიანი, მ. მესხი (55-ე საშუალო სკოლა), ნ. ბარათაშვილი, ლ. ლომინოვა, ე. მიხაილოვა, ს. პაპალაშვილი (116-ე საშუალო სკოლა), ლ. ადამია, ც. რუსია, ი. უბილავა (სოხუმის 1-ლი საშუალო სკოლა), ნ. ურმუზოვა (სოხუმის მე-17 საშუალო სკოლა), ლ. გოგეშვილი, ც. იმედაძე, რ. მეძმარიაშვილი, მ. ქუთათელაძე, მ. ყანჩაველი (ქ. ქუთაისის მე-3 საშუალო სკოლა), ე. ბასილაშვილი, ი. ლომინაძე (ქ. ფოთის 1-ლი საშუალო სკოლა), ლ. გვათუა, მ. კიტია, ნ. ჯიქია (ქ. ზუგდიდის 1-ლი საშუალო სკოლა), თ. მთვრალაშვილი (თელავის 1-ლი საშუალო სკოლა), გერმანული ენის მასწავლებლები: დ. ვაწაძე, ვ. თვალაბეიშვილი, ი. კუტალაძე, დ. მეტრეველი (ქ. თბილისის მე-4 საშუალო სკოლა), ლ. კაჭახიძე (150-ე საშუალო სკოლა), ვ. ჯინჯოლია, გ. დიმიტრენკო (ქ. სოხუმის მე-20 საშუალო სკოლა), ფრანგული ენის მასწავლებლები:

ლ. ნონიკაშვილი, ც. ნაბახტეველი, ნ. კობახიძე, ნ. ელბაქიძე, მ. ფერაძე (ქ. თბილისის 23-ე საშუალო სკოლა), ნ. ლობჟანიძე, ნ. ჯინჭარაძე (ქ. თბილისის 151-ე საშუალო სკოლა), თ. სეფიაშვილი, ა. გიგინეიშვილი (ქ. ქუთაისის მე-4 საშუალო სკოლა).

ასეთი ტიპის სკოლები სისტემატურად ღებულობენ მონაწილეობას ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის უცხოური ენების კაბინეტის მიერ მოწყობილ კონკურსებსა და სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში (ქ. თბილისის მე-5, 23-ე, 24-ე, 43-ე, 47-ე, 53-ე, 55-ე, 116-ე, ქ. ქუთაისის მე-3, ქ. ზუგდიდის 1-ლი საშუალო სკოლები), აწყობენ სკოლებში დილა-საღამოებსა და თემატურ საღამოებს.

ქ. თბილისის 55-ე საშუალო სკოლაში გახსნილია შექსპირის კაბინეტი, რომელიც საინტერესო მუშაობას ატარებს მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური და თეორიული ცოდნის დონის ამაღლების მიზნით. კაბინეტი აწყობს შეხვედრებს დედაქალაქის იმ თეატრების კოლექტივებთან, რომლებიც შექსპირის დრამებსა და კომედიებს დგამენ, ქართველ და უცხოელ პოეტებთან, მეცნიერებთან, შექსპირის მთარგმნელებთან; აწყობენ თემატურ საღამოებს — როგორ მეხმარება უცხოური ენა პროფესიის დაუფლებაში და სხვ.

აღსანიშნავია ქ. თბილისის 23-ე საშუალო სკოლის ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის მუშაობა. კლუბის წევრებს მიმოწერა აქვთ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქების, შორეული ნიკარაგუის მოსწავლეებთან, რომელთაც ესპანური წიგნები გაუგზავნეს. მათ ახლო მეგობრობა აქვთ აგრეთვე ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ფრანგულ ენაზე სწავლების გიმნაზიებთან. 1977 წლიდან მოყოლებული სამჯერ მოხდა მოსწავლეთა და მასწავლებელთა დელეგაციების გაცვლა 23-ე სკოლისა და ქ. სოფიის მე-9 ფრანგულ გიმნაზიას, გაგარინის სახ. 138-ე სკოლისა და ვარნის მე-4 ფრანგულ გიმნაზიებს შორის. მიმდინარე წელს მეგობრული ურთიერთობა დამყარდა ქ. მოსკოვის 24-ე ფრანგული ენის გაძლიერებული სწავლების სკოლასთან და სხვ.

ასეთი ტიპის სკოლებში შრომითი სწავლებისათვის განკუთვნილი 4 საათი დათმობილი აქვს ტექნიკურ თარგმანსა და მანქანაზე უცხოურ ენაზე ბეჭდვას. ტექნიკური თარგმანის სწავლებას სკოლებში დიდი ხნის ტრადიცია აქვს, სკოლებს აქვთ შესაბამისი სახელმძღვანელოები. ყველა მოსწავლეს გამოწერილი აქვს უცხოურ ენაზე გამოცემული პერიო-

დული პრესა, რომელსაც თარგმანისათვის იყენებენ. თანდათან გვარდება მანქანებზე ბეჭდვის საქმეც. დღეისათვის ქ. თბილისის 24-ე, 47-ე, 55-ე, და ქ. ზუგდიდის 1-ელ საშუალო სკოლებში შეძენილია საჭირო რაოდენობის საბეჭდი მანქანები და მიმდინარეობს ბეჭდვის სწავლება.

ამასთან, იმ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობაში, რომლებშიც რიგი საგნები უცხოურ ენაზე ისწავლება, შეინიშნება ნაკლოვანებებიც.

ჯერ კიდევ შემოგვრჩა ისეთი სკოლები, რომლებშიც დამონტაჟებული ლინგაფონის კაბინეტები წლობით უმოქმედოა (ქ. ქ. თბილისის 85-ე, 150-ე, სოხუმის 1-ლი, მე-17, მე-20, ზუგდიდის 1-ლი საშუალო სკოლები). ქ. თბილისის მე-4 საშუალო სკოლაში, იმის გამო, რომ ვერ მოხერხდა საჭირო სათავსოს გამოყოფა, დღემდე დაუმონტაჟებელია ლინგაფონის კაბინეტი და კეთილმოუწყობელია სასწავლო კაბინეტები. ეს გამოწვეულია იმით, რომ რაიონული ხელმძღვანელობის განკარგულებით სკოლაში აპირებენ სასწავლო-საწარმოო კომბინატის გახსნას, რაც მიზანშეუწონილად არ მიგვაჩნია. ქ. თბილისის 150-ე საშუალო სკოლაში კი, სადაც რიგი საგნები გერმანულ ენაზე ისწავლება, საერთოდ არა აქვთ ლინგაფონის კაბინეტი.

ქ. რუსთავის მე-17 საშუალო სკოლაში, სადაც რიგი საგნები გერმანულ ენაზე ისწავლება, პარალელურად შემოღებულია ინგლისური ენის სწავლება .ეს ხელს უშლის გერმანული ენის სწავლების კლასების სათანადოდ დაკომპლექტებას. დებულების თანახმად ასეთი ტიპის სკოლაში მეორე უცხოური ენის სწავლების შემოღება არ შეიძლება. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ სკოლაში დღემდე არ არის დანიშნული გერმანული ენის მცოდნე ლაბორანტი.

მიუხედავად არაერთი მითითებისა, ჯერ კიდევ ვერ აღიკვეთა სკოლებში მასწავლებელთა მცირე რაოდენობის საათებზე დანიშვნა, რიგ სკოლებში მასწავლებლები 4—6 საათზე არიან დანიშნული (ქ. თბილისის 43-ე, 47-ე, 55-ე, 150-ე, ქ. სოხუმის 1-ლი, მე-17 საშუალო სკოლები). ქ. თბილისის 27-ე საშუალო სკოლაში მასწავლებელი ფაკულტატიური მეცადინეობის 2 საათზეა დანიშნული.

სკოლებში სათანადო ყურადღება არ ექცევა მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს, არის შემთხვევები, როდესაც მასწავლებელი 10—12 წელია მუშაობს სკოლაში და არც ერთხელ არ აუმაღ-

ვამტკიცებ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ო. ქინქლაძე
1981 წლის 13 აპრილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 1980—1981 სასწავლო წლის დამთავრებისა და ახალი 1981—1982 სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყების გეგმა

| №№ | შესასრულებელი საკითხები | შესრულების ვადა | პასუხისმგებელი შესრულებაზე | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| | 1. 1980—1981 სასწავლო წლის დამთავრების ორგანიზება | | | |
| 1. | სკკპ 26-ე ყრილობის მასალების მოსწავლეთათვის გაცნობისა და შესწავლის მიზნით მეთოდიკური რეკომენდაციების შემუშავება და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებამდე დაყვანა. | 1981 წლის მარტი | სკოლების სამმართველო, აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო | |
| 2. | მასწავლებელთათვის სკკპ 26-ე ყრილობის მასალების შესწავლის მეთოდიკური რეკომენდაციების შემუშავება ცალკეული საგნების მიხედვით. | 1981 წლის მარტი | სკოლების სამმართველო | |
| 3. | ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სკკპ 26-ე ყრილობის მასალების მოსწავლეთა და მასწავლებელთა კოლექტივებში შესწავლის ორგანიზაცია. | 1981 წლის აპრილი-მაისი | სკოლების სამმართველო, აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები | |
| 4. | ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთათვის სკკპ 26-ე ყრილობის მასალების შესწავლის ამსახველი პლაკატის გამოცემა. | 1981 წლის მარტი | სკოლების სამმართველო, აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო | |
| 5. | ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში პოლიტინფორმაციების ჩატარება თემაზე: „სკკპ 26-ე ყრილობის გადაწყვეტილებები ცხოვრებაში". | 1981 წლის აპრილი-მაისი | აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო | |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| 6. | სკკპ 26-ე ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მასალების პროპაგანდისა და შესწავლის მიმდინარეობის შემოწმება რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. | 1981 წლის მაისი | სკოლების სამმართველო, აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო | |
| 7. | „საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა გამოცდების, გადაყვანისა და გამოშვების შესახებ" ინსტრუქციის მომზადება, დამტკიცება და ადგილებზე დაყვანა. | 1981 წლის აპრილი | სკოლების სამმართველო | |
| 8. | VIII—X (XI) კლასების საგამოცდო ბილეთების მომზადება ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. მათი გამოცემა და ადგილებზე დაგზავნა. | 1981 წლის აპრილი | სკოლების სამმართველო, სახელმძღვანელოებისა და საბიბლიოთეკო ფონდების სამმართველო | |
| 9. | წერითი გამოცდებისათვის საწერი ქაღალდით სკოლების უზრუნველყოფა. | 1981 წლის მაისი | სკოლების სამმართველო, მომარაგების მთავარი სამმართველო | |
| 10. | საგამოცდო თემატიკის შედგენა მშობლიურ ენას და ლიტერატურაში, ამოცანებისა და მაგალითების ვარიანტების შერჩევა მათემატიკაში, საგამოცდო დავალებების რადიოთი და ტელევიზიით გადაცემის ორგანიზება. | მაისი | სკოლების სამმართველო, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის დახმარებით | |
| 11. | საშუალო განათლების ატესტატებისა და რვა კლასის დამთავრების მოწმობების დაკვეთა და შემოზიდვა, ქების სიგელების, ქების ფურცლების, საგამოცდო ოქმების, ავტომძღოლის, ტრაქტორის მართვისა და მანქანაზე ბეჭდვის მოწმობების დაბეჭდვა და გაცემა მოთხოვნის მიხედვით. | თებერვალი-ივნისი | სკოლების სამმართველო, მომარაგების მთავარი სამმართველო | |
| 12. | ოქროს მედალოსნობის კანდიდატთა წერითი ნამუშევრების გადამმოწმებელი კომისიების შედგენა და მათი მუშაობის ორგანიზება. | ივნისი | სკოლების სამმართველო | |
| 13. | კონტროლის დაწესება გამოცდების მიმდინარეობაზე, რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში სამინისტროს წარმომადგენლების მივლინება. | ივნისი | სკოლების სამმართველო სხვა სამმართველოებისა და განყოფილებების მონაწილეობით | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| 14. | გამოცდების შედეგების შეჯამება. | სექტემბერი | სკოლების სამმართველო | |
| | **II. ახალი სასწავლო წლისათვის მზადება** | | | |
| 1. | საქართველოს სსრ სახალხო განათლების მუშაკთა აქტივის კრების რეზოლუციისა და მასალების მიხედვით შესაბამისი პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელება 1981—1982 სასწავლო წლის დასაწყისისათვის. | 20 აგვისტომდე | სამინისტროს სამმართველო-განყოფილებები, აფხაზეთის, აჭარის ასსრ განათლების სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებები | |
| 2. | სკოლის დირექტორებისა და სახალხო განათლების სხვა ადგილობრივ ხელმძღვანელ მუშაკთა ზონალური თათბირების მომზადება-ჩატარება საქართველოს სსრ სახალხო განათლების მუშაკთა აქტივის კრებაზე მიღებული რეზოლუციისა და მასალების საფუძველზე. | აპრილი-მაისი | სკოლების სამმართველო | |
| | — ზონებისა და მათში შემავალი რაიონებისა და ქალაქების შერჩევა, მათი ინფორმირება; | მარტი | ” | |
| | — თათბირების მომზადებისა და ორგანიზებულად ჩატარების მიზნით სამინისტროს წარმომადგენელთა შერჩევისა და ადგილებზე მივლინების ორგანიზება; | აპრილი-მაისი | ” | |
| | — რესპუბლიკურ აქტივსა და ზონალურ თათბირებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების ანალიზი, მათი რეალიზაციის ღონისძიებათა დასახვა. | მაისი | სამინისტროს სამმართველო-განყოფილებები | |
| 3. | 1981—1982 სასწავლო წლისათვის ექსპლუატაციაში გასაშვები სასწავლო და საბავშვო დაწესებულებათა მშენებლობების მიმდინარეობის შემოწმება და მათი დროულად ჩაბარების უზრუნველყოფა. | 10 აგვისტომდე | სკოლების სამმართველო, კაპიტალური მშენებლობის განყოფილება, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებები, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველო | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| 4. | რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტებზე მყოფ სახალხო განათლების ობიექტების კაპიტალური და მიმდინარე რემონტების ჩატარების შემოწმება, მათი დროული დამთავრება. | „ | | |
| 5. | მშენებარე ობიექტების უზრუნველყოფა საჭირო სახისა და რაოდენობის რბილი და მაგარი ინვენტარით, ავეჯით, სასწავლო მოწყობილობით, სწავლების ტექნიკური საშუალებებით. | 10 აგვისტომდე | მომარაგების მთავარი სამმართველო | |
| 6. | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 8 ივნისის № 404 დადგენილების შესაბამისად რეკონსტრუქცია-გაფართოებითი სამუშაოების დასრულება მარტყოფის (გარე წყალსადენი), თეთრიწყაროს (სასადილო და საძილოსნოები), ცხაკაიის (სპორტული დარბაზი) სკოლა-ინტერნატებში. კოჯრის № 2 (გარე კანალიზაცია), რუსთავის აბანო-სამრეცხაო), სურამის (საძინებელი კორპუსი), კოჯრის № 1 (სასადილო, აბანო, სამრეცხაო) საბავშვო სახლებში. | 20 აგვისტომდე | სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო კაპიტალური მშენებლობის განყოფილებასთან ერთად | |
| 7. | სახალხო განათლების ობიექტებზე მშენებლობისა და რემონტების დროულად და ხარისხიანად ჩატარების მიზნით კორესპონდენტთა საგუშაგოების შექმნა, სამუშაოთა მიმდინარეობის გაშუქება რუბრიკით „სკოლა და ბაღი ყველას საზრუნავი“. | „ | გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქცია | |
| 8. | ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების მზადყოფნის შემოწმება და შესაბამისი აქტის შედგენა ყველა სკოლისათვის. | ივლისი-აგვისტო | სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები | |
| 9. | ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების მზადყოფნის აქტების წარმოების შემოწმება რამდენიმე რაიონსა და ქალაქში შერჩევით. | ივლისი-აგვისტო | სკოლების სამმართველო | |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| 10. | ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო დაწესებულებებში კვების ბლოკების მზადყოფნის, შენობების სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის შემოწმება და სათანადო რეაგირება. | აგვისტო-სექტემბერი | სკოლების სამმართველო, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო | |
| 11. | სასკოლო ინტერნატების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესწავლა და მათი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შემუშავება: | 1-ელ ივნისამდე | სკოლების სამმართველო | |
| | — სასკოლო ინტერნატების მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმიურ დავალებათა შესრულების მიზნით ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება; | 1-ელ სექტემბრამდე | რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებები | |
| | — გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების ქსელის, მათი მატერიალური ბაზის გაუმჯობესების მიზნით ღონისძიებების შემუშავება; | 20 აგვისტომდე | რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებები | |
| | — 3 კმ და მეტი მანძილით სკოლიდან დაშორებით მცხოვრებ მოსწავლეთა ტრანსპორტით უფასოდ გადაყვანის ღონისძიებების შემუშავება. | „ | „ | |
| 12. | ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სასწავლო წლის დასაწყისისათვის მზადყოფნის მიზნით სასკოლო ბაზრობების ორგანიზება. | 1-ელ სექტემბრამდე | რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებები, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველო | |
| 13. | რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უზრუნველყოფა საჭირო სრულყოფილი სასწავლო პროგრამებით, სახელმძღვანელოებითა და მეთოდური ლიტერატურით თვალსაჩინო-დიდაქტიკური მასალებით, სწავლების ტექნიკური საშუალებებითა და სათანადო დოკუმენტაციით: | 25 აგვისტომდე | სკოლების სამმართველო, სახელმძღვანელოების სამმართველო, მომარაგების მთავარი სამმართველო | |
| | — სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეცსკოლების უზრუნველყოფა სასკოლო სახელმძღვანელოებით, მეთოდური ლიტერატურითა და სასწავლო თვალსაჩინოებით; | 1-ელ სექტემბრამდე | სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო, სახელმძღვანელოების სამმართველო. | |
| | —სკოლამდელი დაწესებულებებისათვის მეთოდური ლიტე- [illegible] | 20 აგვისტომდე | სკოლამდელი აღზრდის სამმართველო | |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| 14. | სასადილოებისა და ბუფეტების უზრუნველყოფა სავაჭრო ტექნოლოგიური დანადგარებით, კვების ხარისხიანი პროდუქტებით, სააბონემენტო სისტემის ფართოდ დანერგვა. | 1-ელ სექტემბრამდე | კაპიტალური მშენებლობის განყოფილება, სკოლების სამმართველო | |
| 15. | სრულყოფილი სასწავლო პროგრამებით სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით მეთოდური მასალის შემუშავება და სკოლებამდე დაყვანა, მასწავლებელთა გადამზადების ორგანიზება. | 20 აგვისტომდე | სკოლების სამმართველო კადრების სამმართველოსთან ერთად | |
| 16. | თბილისის რესპუბლიკურ სუსტადმხედველ ბავშვთა სკოლა-ინტერნატში მოსამზადებელი და პირველი კლასების გახსნა (რუსული სექტორი). | 1-ელ სექტემბრამდე | სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო | |
| 17. | სკოლამდელი ჯგუფების გახსნა გურჯაანის ცერებრალური დამბლითა და პოლიომიელიტის ნარჩენი მოვლენებით დაავადებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატში. | 1-ელ სექტემბრამდე | " | |
| 18 | სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების აღსაზრდელთა უზრუნველყოფა ტანსაცმლით, ფეხსაცმლით და სასწავლო ნივთებით. | 1-ლი სექტემბერი | სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო, მომარაგების მთავარი სამმართველო | |
| 19. | სასკოლო ასაკის ყველა ბავშვისა და საშუალო განათლების არმქონე მომუშავე ახალგაზრდების აღრიცხვა და სწავლებაში ჩაბმის უზრუნველყოფა. | მაისი-აგვისტო | სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები, საღამოს სკოლები | |
| 20. | სპორტის სახეების მიხედვით ფიზიკური აღზრდის საკითხებში ახალი საპროგრამო მასალებისა და დოკუმენტების დაგზავნა რესპუბლიკის სკოლებისათვის: | 20 აგვისტომდე | ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველო | |
| | — დაწყებითი კლასებისათვის მეთოდური წერილისა და პროგრამების დაგზავნა მშთ ფიზკულტურული კომპლექსის მრავალჭიდში; | " | " | |
| | — ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების, ინტერნატულ დაწესებულებებთან მოქმედი სასწავლო-საწვრთნელი ჯგუფების განხილვა-დამტკიცება; აღნიშნული ტიპის | " | სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველო | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| | დაწესებულებათა დირექტორების რესპუბლიკური თათბირის ჩატარება. | | | |
| 21. | 1981—1982 სასწავლო წელს ხუთდღიან სასწავლო კვირაზე გადასვლასთან დაკავშირებით რიგი რაიონების დაწყებითი კლასების მეთოდისტების გადამზადების უზრუნველყოფა: | ივნ.სი-ივლისი | კადრების სამმართველო | |
| | — უმაღლესი განათლების არმქონე მასწავლებელთა და აღმზრდელთა სიების დაზუსტება; უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების საღამოსა და დაუსწრებელ განყოფილებებზე მათი სწავლებაში ჩაბმის ორგანიზება; | მაისი-ივლისი | „ | |
| | — სკოლამდელი დაწესებულებების კადრებით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესწავლა, ანალიზი და შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება; | ივნისი | კადრების სამმართველო | |
| | — სახალხო განათლების სისტემის დაწესებულებების კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით დროული დაკომპლექტების მიზნით სათანადო ღონისძიებების გატარება; | 20 აგვისტომდე | „ | |
| | — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის დაწესებულებებში მუშაკთა სამუშაოზე მიღება-დათხოვნის საქმეში კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობის ანალიზი; | ივნისი | „ | |
| | — ახალგაზრდა სპეციალისტების განაწილების ადგილებზე დროულად გამოცხადების, მათი პედაგოგიური კოლექტივებისათვის წარდგენის ორგანიზება, სტაჟირებისათვის კონკრეტულ ღონისძიებათა დაგეგმვა-განხორციელება; | აგვისტო-სექტემბერი | „ | |
| | — სოფლის მასწავლებელთა, მათ შორის ახალგაზრდა სპეციალისტთა, შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების მდგომარეობის შესწავლა. | აგვისტო | „ | |
| 22. | შრომის ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების, მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის ორგანოებსა და დაწესებულებებში სოციალისტური შეჯიბრებით აღებულ ვალდებულებათა შესრუ- | ივლისი | სკოლების სამმართველო, სამინისტროს სამმართველო-განყოფილებები, სოცშეჯიბრის საორგანიზაციო რესპუბლიკური კომისია | |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| 23. | ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის შემოწმება რამდენიმე ქალაქსა და რაიონში. | სექტემბერი | სახელმძღვანელოების სამმართველო | |
| 24. | მეხუთე შრომითი მეოთხედის ორგანიზებულად ჩატარება:<br>— მოსწავლეთა შრომითი ბრიგადების ხელმძღვანელების შერჩევა-გამოყოფა, მათთვის მოსამზადებელი კურსების მოწყობა;<br>— მოსწავლეთა შრომითი საქმიანობისა და დასვენებისათვის ობიექტების შერჩევა და გაფორმება;<br>— კლასის ხელმძღვანელებისა და კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორებისათვის მიზნობრივი სემინარის ჩატარება. | აპრილი-აგვისტო | აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო | |
| | **III. მასწავლებელთა აგვისტოს თათბირების მომზადება და ჩატარება** | 20—30 აგვისტო | სკოლების სამმართველო | |
| | — დღის წესრიგისა და ძირითადი მომხსენებლების განსაზღვრა ,სახალხო განათლების ორგანოებამდე მათი დაყვანა; | 1-ელ აგვისტომდე | სკოლების სამმართველო | |
| | — გაზეთ „სახალხო განათლებაში“ რუბრიკის — „მასწავლებელთა აგვისტოს თათბირების შესახვედრად“ შემოღება; | 1-ლი მაისიდან პერიოდულად | გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქცია | |
| | — თათბირების ჩატარებისა და სექციური მუშაობისათვის რეკომენდაციებისა და მეთოდური მითითებების მომზადება, დაბეჭდვა, ადგილებზე დაყვანა; | 20 აგვისტომდე | სკოლების სამმართველო | |
| | — აგვისტოს თათბირებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების ანალიზი, მათი რეალიზაციის ღონისძიებათა დასახვა და შედეგების შეჯამება. | სექტემბერი-ოქტომბერი | სამინისტროს სამმართველო-განყოფილებები | |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| | **IV. სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყება** | აგვისტო | „აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები, რაიონის (ქალაქის) პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანოების დახმარებით და მხარდაჭერით | |
| 1. | სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების შენობების, ეზო-კარმიდამოს, დერეფნებისა და საკლასო ოთახების, ქუჩებისა და რაიონული (საქალაქო) ცენტრების საზეიმოდ გაფორმება. | | სახალხო დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან ერთად | |
| 2 | რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების კინოთეატრებში საბავშვო და ახალგაზრდული კინოფილმების ჩვენება. | აგვისტო-სექტემბერი | კომკავშირის რაიონულ და საქალაქო კომიტეტებთან, კულტურის განყოფილებებთან ერთად | |
| 3. | ახალი სასწავლო წლისადმი მიძღვნილი ტელე და რადიოგადაცემების ორგანიზება, გაზეთებში სტატიების გამოქვეყნება. | „ | საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტთან, რესპუბლიკის გაზეთების რედაქციებთან ერთად | |
| 4 | ახალი სასწავლო წლისადმი მიძღვნილი კულტმასიური და სპორტული ღონისძიებების ჩატარება. | „ | აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, განათლების განყოფილებები | |
| 5. | „პირველი ზარის“, მიტინგებისა და ზეიმების ჩატარება სკოლების, შეფი ორგანიზაციებისა და საზოგადოებრიობის მონაწილეობით. | აგვისტო-სექტემბერი | აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები | |
| | **V. ახალი სასწავლო წლის დაწყების შედეგების დაჯამება და კოლეგიაზე განხილვა** | სექტემბერი | სკოლების სამმართველო სამინისტროს სხვა სამმართველოებთან და განყოფილებებთან ერთად | |

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს, დ. ი. მენდელეევის სახელობის საკავშირო ქიმიური საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური გამგეობისა და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის 1981 წლის 13 აპრილის**

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

## რესპუბლიკაში ნორჩ ქიმიკოსთა კოლექტივების მე-4 საკავშირო დათვალიერების შედეგების შ ე ს ა ხ ე ბ

1980—1981 სასწავლო წელს ჩატარებულ ნორჩ ქიმიკოსთა კოლექტივების მე-4 საკავშირო დათვალიერების რესპუბლიკურ ეტაპში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის 67 ქალაქისა და რაიონის ნორჩ ქიმიკოსთა 1032 კოლექტივმა. საკავშირო დათვალიერებაში აქტიურად ჩაებნენ ქ. ქ. თბილისის, სოხუმის, ბათუმის, რუსთავის, ფოთის, ქუთაისის, აგრეთვე ახალციხის, თელავის, გარდაბნის, ახმეტის, ცხინვალის, მახარაძის, ორჯონიკიძის, ტყიბულის, ლანჩხუთის რაიონების ნორჩ ქიმიკოსთა კოლექტივები. რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტში წარმოდგენილი 149 ნაშრომიდან, გარკვეული ნაწილი კვლევითი ხასიათისაა. განსაკუთრებით კარგი ნამუშევრები წარმოადგინეს ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ქიმიის კაბინეტმა, თბილისის 54-ე, 150-ე, მახარაძის მე-5, ახალციხის 1-ლი, ორჯონიკიძის რაიონის ზვარის, თელავის რაიონის ლაფანყურის, გარდაბნის რაიონის გამარჯვების საშუალო და ტყიბულის რაიონის ძიროვნის რვაწლიანი სკოლების ნორჩ ქიმიკოსთა წრეებმა. მრავალფეროვანი საქმიანობით გამოირჩევა ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ქიმიის კაბინეტი და ახალციხის 1-ლი საშუალო სკოლის ნორ ქიმიკოსთა წრე.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ, დ. ი. მენდელეევის სახელობის საკავშირო ქიმიური საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკურმა გამგეობამ და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. ნორჩ ქიმიკოსთა კოლექტივების მე-4 საკავშირო დათვალიერე-

ბის საქართველოს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის ანგარიში დამტკიცდეს.

2. ნორჩ ქიმიკოსთა კოლექტივების მე-4 საკავშირო დათვალიერებაში მოსწავლეთა აქტიურად ჩაბმისა და კლასგარეშე მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებისათვის საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ ქიმიის კაბინეტის გამგეები ნორჩ ქიმიკოსთა წრეების ხელმძღვანელები და ქიმიის მასწავლებლები (სია თან ერთვის).

3. ნორჩ ქიმიკოსთა კოლექტივების საკავშირო დათვალიერებაში აქტიური მონაწილეობისა და კონკურსზე საუკეთესო რეფერატებისა და კვლევითი ხასიათის ნამუშევრების წარმოდგენისათვის საპატიო სიგელებით დაჯილდოვდეს 61 მოსწავლე (სია თან ერთვის).

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
ო. ქინქლაძე

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
მ. წიკლაური

დ. ი. მენდელეევის სახელობის საკავშირო ქიმიური საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური გამგეობის თავმჯდომარე, პროფესორი
ნ. ფირცხალავა

საქართველო სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარე
ნ. კომახიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ს ი ა

## იმ მასწავლებლებისა, რომელთა მოსწავლეებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ნორჩ ქიმიკოსთა მე-4 საკავშირო დათვალიერებაში

1. ხანანაული ე. ს. — ახალციხის 1-ლი საშუალო სკოლა
2. გველესიანი ი. ვ. — მახარაძის მე-5 საშუალო სკოლა
3. ინაშვილი ლ. გ. — თბილისის 54-ე საშუალო სკოლა
4. თიკანაშვილი გ. შ. — ორჯონიკიძის რაიონის ზვარეს საშუალო სკოლა
5. გიკუაშვილი თ. ო. — თელავის რაიონის ლაფანყურის საშუალო სკოლა
6. კუბლაშვილი მ. ნ. — ტყიბულის რაიონის ძიროვნის რვაწლიანი სკოლა
7. ანჩიბაია ნ. ე. — თბილისის 150-ე საშუალო სკოლა
8. ფარულავა ნ. ნ. — გარდაბნის რაიონის გამარჯვების საშუალო სკოლა
9. გოცირიძე მ. დ. — ქ. ქუთაისის მე-8 საშუალო სკოლა
10. გესლაძე ნ. ს. — ახმეტის რაიონის ქვემო ალვანის საშუალო სკოლა
11. აბუაშვილი ე. გ. — ფოთის საშუალო სკოლა-ინტერნატი
12. მურვანიძე მ. ი. — ფოთის მე-2 საშუალო სკოლა
13. ჯიქია ჟ. პ. — ცაგერის საშუალო სკოლა
14. შალამბერიძე ნ. გ. — წულუკიძის მე-3 საშუალო სკოლა
15. დოლიძე ლ. მ. — ბათუმის 1-ლი საშუალო სკოლა

# ს ი ა

## იმ მოსწავლეების, რომლებიც ნორჩ ქიმიკოსთა მე-4 საკავშირო დათვალიერებაში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდნენ სიგელებით

1. სვანიძე მ. გ. — გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვების საშუალო სკოლა
2. ლეკიშვილი მ. ი.—გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვების საშუალო სკოლა
3. ხუმარაშვილი ნ. ს. — თელავის რაიონის სოფელ ლაფანყურის საშუალო სკოლა
4. ფორჩხაძე ვ. ზ. — ტყიბულის რაიონის სოფელ ძიროვნის რვაწლიანი სკოლა
5. რცხილაძე ი. გ. — ქ. თბილისის 150-ე საშუალო სკოლა
6. ტალახაძე მ. ვ. — ორჯონიკიძის რაიონის ზვარეს საშუალო სკოლა
7. ლომიძე დ. ა. — ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ზვარეს საშუალო სკოლა
8. შათირიშვილი ტ. ა. — ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ზვარეს საშუალო სკოლა
9. ხელაშვილი ე. შ. — ქ.თბილისის 54-ე საშუალო სკოლა
10. ცანავა პ. ვ. —მახარძის მე-5 საშუალო სკოლა
11. საფაროვა მ. ს. — ქ. ქუთაისის მე-8 საშუალო სკოლა
12. ცხვიტარია ნ. ა. — ქ. ფოთის მე-2 საშუალო სკოლა
13. სიჭინავა ლ. ბ. — ქ. ფოთის საშუალო სკოლა-ინტერნატი
14. გულუა ნ. შ. — ქ. ფოთის საშუალო სკოლა-ინტერნატი
15. გაბიდაძე დ. ვ. — ახმეტის რაიონის სოფელ ქვემო ალვანის საშუალო სკოლა
16. გოგუაძე თ. დ. — ქ. ფოთის საშუალო სკოლა-ინტერნატი
17. მირცხულავა ნ. გ. — ქ. ფოთის საშუალო სკოლა-ინტერნატი
18. მეხრაძე ლ. თ. — ქ. რუსთავის მე-3 საშუალო სკოლა
19. სანაკოევი თ. — ქ. ცხინვალის მე-2 საშუალო სკოლა
20. ხურიევა ლ. — ქ. ცხინვალის მე-2 საშუალო სკოლა
21. ოსიტაშვილი ლ. გ. — ზნაურის ქართული საშუალო სკოლა
22. წულაია თ. დ. — ქ. თბილისის 150-ე საშუალო სკოლა
23. კეკელია რ. ბ. — დ. ხობის მე-2 საშუალო სკოლა

24. სუმბაძე ნ. ი. — ქ. თელავის მე-7 საშუალო სკოლა
25. შველიძე ი. თ. — ქ. წულუკიძის მე-2 საშუალო სკოლა
26. ლეკიშვილი ჟ. ი. — ასპინძის რაიონის დ. ასპინძის საშუალო სკოლა
27. ბარაბაძე გ. გ. — წულუკიძის რაიონის სოფელ მათხოჯის საშუალო სკოლა
28. პორტნოვა ო. — ქ. რუსთავის მე-19 საშუალო სკოლა
29. რაზმიაშვილი ნ. — ქ. რუსთავის მე-6 საშუალო სკოლა
30. მჭედლიშვილი ლ. ფ. — საგარეჯოს რაიონის კაკაბეთის საშუალო სკოლა
31. ზურაშვილი ნ. შ. — წითელწყაროს მე-2 საშუალო სკოლა
32. ოთარაშვილი ა. ვ. — თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურის საშუალო სკოლა
33. შალიკაძე ხ. ი. — ხელვაჩაურის რაიონის სოფელ კირნათის საშუალო სკოლა
34. ნინუა თ. ს. — სამტრედიის მე-2 საშუალო სკოლა
35. ჯანჯალია ხ. ნ. — სამტრედიის მე-5 საშუალო სკოლა
36. იმნაძე რ. ო. — ლანჩხუთის 1-ლი საშუალო სკოლა
37. პატარაია ნ. — ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩიბათის საშუალო სკოლა
38. ჯავაშვილი ნ. ა. — წითელწყაროს 1-ლი საშუალო სკოლა
39. ლომინაძე ს. ვ. — მახარაძის მე-15 საშუალო სკოლა
40. მირიოიანი ა. ა. — ქ. ბათუმის მე-15 საშუალო სკოლა
41. პირტახია ლ. ა. — ქ. თბილისის 140-ე საშულო სკოლა
42. კუზნეცოვა ი. ს. — ქ. ბათუმის მე-7 საშუალო სკოლა
43. ბლიაძე ნ. ო. — ბორჯომის მე-4 საშუალო სკოლა
44. ფოჩხუა ი. გ. — ცხაკაიის მე-2 საშუალო სკოლა
45. გურეშიძე ჟ. გ. — ქ. თბილისის 24-ე საშუალო სკოლა
46. ქოჩლიძე მ. ა. — გორის მე-3 საშუალო სკოლა
47. ერისთავი მ. — ქ. სოხუმის მე-2 საშუალო სკოლა
48. ჩიხლაძე ლ. უ. — წულუკიძის მე-3 საშუალო სკოლა
49. გოგუა მ. ა. — ოჩამჩირის რაიონის კოჩარის საშუალო სკოლა
50. ონიანი მ. თ. — თბილისის 51-ე საშუალო სკოლა
51. მაძღარაშვილი ე. გ. — ქ. თბილისის 130-ე საშუალო სკოლა
52. სულუხია ქ. ჯ. — ქ. თბილისის მე-17 საშუალო სკოლა

53. ჯლამაძე გ. ა. — სოხუმის მე-16 საშუალო სკოლა
54. ბექაური შ. შ. — დუშეთის 1-ლი საშუალო სკოლა
55. გიორგაძე მ. შ. — ორჯონიკიძის რაიონის სოფელ კაცხის საშუალო სკოლა
56. გიორგაძე ნ. შ. — ორჯონიკიძის რაიონის სოფელ კაცხის საშუალო სკოლა
57. ჩიქოვანი მ. ა. — ცაგერის საშუალო სკოლა
58. ჩიქოვანი ნ. ა. — ცაგერის საშუალო სკოლა
59. ქათამაძე გ. შ. — ქობულეთის რაიონის სოფელ წყავროკას საშუალო სკოლა
60. ბარამაშვილი ლ. ო. — საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდის საშუალო სკოლა
61. ჭიჭალუა გ. გ. — ცხაკაიის მე-2 საშუალო სკოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1981 წლის 13 აპრილის

# გადაწყვეტილება

### რესპუბლიკის შორეული და მაღალმთიანი რაიონების სოფლის სკოლების კურსდამთავრებულთა პედაგოგიურ ინსტიტუტებში კონკურსგარეშე ჩარიცხვის შედეგების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 20 ივნისის № 463 დადგენილებისა და სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1975 წლის 21 თებერვლის № 17 ბრძანების შესაბამისად საქართველოს სსრ პედაგოგიურ ინსტიტუტებში შორეული და მაღალმთიანი რაიონების სოფლის სკოლების კურსდამთავრებულთა კონკურსგარეშე ჩარიცხვისათვის 1980 წელს გამოყოფილი იყო 140 ადგილი, მათ შორის თბილისის ა. ს. პუშკინის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში 50, თბილისის უცხოური ენების ინსტიტუტში — 9, ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში — 24, სამხრეთოსეთის პედაგოგიურ ინსტიტუტში — 21, ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუშტი — 15, გორის პედაგოგიურ ინსტიტუში — 9, თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში — 12.

აჭარის ასსრ განათლების სამინისტრომ (ამხ. ვ. წულუკიძე) კარგად შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულებანი 1980 წელს შორეულ და მაღალმთიან რაიონებში მცხოვრები ახალგაზრდობის პედაგოგიურ ინსტიტუტებში კონკურსგარეშე ჩარიცხვის საქმეში, რის შედეგადაც გეგმით გათვალისწინებული 24 აბიტურიენტიდან სტუდენტი გახდა 21.

გასულ წლებთან შედარებით ერთგვარად გაუმჯობესდა გამოყოფილი ლიმიტების ათვისების მდგომარეობა (თუ 1976 წელს ჩარიცხულ იქნა გეგმის 15,6%, 1980 წელს — 31,7%).

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ადგილობრივი კადრებით შორეული და მაღალმთიანი რაიონების უზრუნველყოფისათვის კვლავ არადამაკმაყოფილებლად გამოიყენება პედაგოგიურ ინსტიტუტებში კურსდამთავრებულთა კონკურსგარეშე ჩარიცხვის წესი. საკმარისია აღინიშნოს, რომ მეათე ხუთწლედში (1976-80 წ.წ. გეგმით გათვალისწინებულ 1084 ადგილზე ჩაირიცხა მხოლოდ 322 ახალგაზრდა (27%). 1980 წელს აბიტურიენტთა დიდი ნაწილი ვერ ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებლებში.

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და 24 რაიონის განათლების განყოფილების მიერ პედაგოგიურ ინსტიტუტებში შორეული და მაღალმთიანი რაიონების სოფლის სკოლების კურსდამთავრებულთა კონკურსგარეშე ჩარიცხვისთვის 1980 წელს გამოყოფილ 140 ადგილზე შერჩეულ და მივლინებულ იქნა 300 აბიტურიენტი (საშუალოდ ორი თითო ადგილზე). მიუხედავად ამისა, გამოცდების ჩაბარების შედეგად უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხულ იქნა 49 ახალგაზრდა (31,7%), მათ შორის ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში — 10, ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში — 21, სამხრეთ ოსეთის პედაგოგიურ ინსტიტუტში—5, უცხოურ ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში—4, გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში—2, თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში—2, აფხაზეთის უნივერსიტეტში—12 აბიტურიენტი.

მესტიის, დუშეთის, თიანეთის, ლენტეხის, ცაგერის, ყაზბეგის, ახალციხის, ადიგენისა და სხვა რაიონების განათლების განყოფილებათა მიერ (გამგეები: ა. ჩხვიმიანი, ქ. ბაშარული, ვ. ობგაიძე, ი. ჩანქსელიანი, დ. კოპალიანი, ი. ჩქარეული, ე. კობაძე, გ. ზაზაშვილი) მივლინებულმა აბიტურიენტებმა მოზადების დაბალი დონე გამოამჟღავნეს და მათი უმრავლესობა პირველსავე გამოცდაზე ჩაიჭრა.

ყაზბეგის, ახალქალაქის, თეთრიწყაროს, ადიგენისა და მესტიის რაიონებს (განათლების განყოფილებათა გამგეები: ამხ. ამხ. ი. ჩქარეული, ა. გაბრიელიანი, ლ. ჯინჯიხაძე, გ. ზაზაშვილი, ა. ჩხვიმიანი) პედაგოგიურ ინსტიტუტებში ადგილები აუთვისებელი დარჩათ.

ზნაურისა და ჯავის რაიონების განათლების განყოფილებების გამგეებმა (ამხ. ამხ. ი. გაგლოევი, ს. ცხოვრებოვი) ნაცვლად შორეული და მაღალმთიანი სოფლების საშუალო სკოლადამთავრებულებისა, პედაგოგიურ ინსტიტუტებში გამოცდების ჩასაბარებლად მოავლინეს ქალაქის ტიპის დასახლების ზნაურისა და ჯავის სკოლების კურსდამთავრებულები.

ახმეტის რაიონის განათლების განყოფილებამ (ამხ. ა. ბაკურაძე) მისაღები გამოცდების დაწყების წინ, 25 ივლისს, უარი განაცხადა გამოყოფილი ლიმიტების ათვისებაზე. მაშინ როცა 31 მარტს თხოვნით მიმართა განათლების სამინისტროს კურსდამთავრებულთა კონკურსგარეშე ჩარიცხვისათვის ექვსი ადგილის გამოყოფის შესახებ.

არსებული ნაკლოვანებები უპირველესად ყოვლისა, სკოლებისა და

განათლების ორგანოების საქმისადმი უპასუხისმგებლო, ფორმალური დამოკდებულების შედეგია. სკოლბში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს საპროფორიენტაციო მუშაობა, სკოლის დირექტორები და მასწავლებლები ნაკლებად ზრუნავენ საკუთარი, ღირსეული ცვლის მოსამზადებლად. თითქმის არაფერი კეთდება პედაგოგიურ ინსტიტუტებსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს შორის კავშირის დასამყარებლად, ადგლებზე დროულად და საფუძვლიანად არ სწავლობენ პედაგოგიურ კადრებზე უახლოეს და პერსპექტიულ მოთხოვნილებებს. განათლების განყოფილებების მუშაობა პრაქტიკულად მხოლოდ სკოლებიდან მოთხოვნების შეგროვებით, განათლების სამინისტროში მომართვებისა და სიების გამოგზავნით ამოიწურება, რაც საშუალო და რვაწლიანი სოფლის სკოლების მასწავლებელთა კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის საქმეში მეტად მძიმე მდგომარეობას ქმნის. მაგალითად, მესტიის რაიონში ხანგრძლივი დროის განმავლობაში იგრძნობა მათემატიკის, ფიზიკისა და მშობლიური ენის მასწავლებლების ნაკლებობა. გაითვალისწინა რა ეს, განათლების სამინისტრომ ლიმიტების საერთო რაოდენობიდან მესტიის რაიონს სხვადასხვა პედაგოგიურ ინსტიტუტში კონკურსგარეშე ჩარიცხვისათვის გამოუყო 36 ადგილი, ათვისებულ იქნა მხოლოდ 21.

აღსანიშნავია ისიც, რომ პედაგოგიური ინსტიტუტები ნაკლებ ყურადღებსა და გულისხმიერებას იჩენენ მაღალმთიანი და შორეული რაიონებიდან კონკურსგარეშე ლიმიტებით მოვლინებულ აბიტურიენტთა მიმართ, არ უწევენ საჭირო დახმარებას, არ ავრცელებენ მათზე შეღავათებს. ასე, მაგალითად, ა. ს. პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტი შეფობას უწევს მესტიის რაიონს, მაგრამ იქ მივლინებული 19 მაღალქულიანი ატესტატისმფლობელ ლიმიტის მქონე აბიტურიენტთაგან მხოლოდ ორი ჩაირიცხა. იგივე მდგომარეობაა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ამავე რაიონისათვის გამოყოფილი ადგილების ათვისების საქმეში (გამოყოფილ 14 ადგილზე ვერც ერთი ვერ ჩაირიცხა). გარდა ამისა, ა. ს. პუშკინის სახ. პედაგოგიურმა ინსტიტუტმა არ გაავრცელა შეღავათები და განათლების სამინისტროს ჩარევამდე დაწყებითი განათლების ფაკულტეტზე არ მიიღო იმ კურსდამთავრებულთა საბუთები, რომელთაც არ ჰქონდათ მუსიკალური განათლების დამადასტურებელი მოწმობა.

განათლების სამინისტროს მოთხოვნით 1980 წელს რესპუბლიკის პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებლებში კონკურსგარეშე ჩარიცხვისათვის დამტკიცებული იყო 150 ადგილი, აქედან 20 — ქ. თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. უცხოურ ენათა ინსტიტუტისათვის, რაც საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ 10 ერთეულით იქნა შემცირებული და განათლების სამინისტროს ამის შესახებ ოფიციალურად მხოლოდ 24 ივლისს, გამოცდების დაწყებამდე ერთი კვირით ადრე, ეცნობა. ყველაფერმა ამან გამოიწვია მშობელთა სამართლიანი უკმაყოფილება — საჩივრები, არაორგანიზებულობა და, რასაკვირველია, გავლენა იქონია ინსტიტუტებში შემსვლელთა შერჩევისა და მათდამი დახმარების გაწევის საქმეზე—ვერ მოხერხდა აბიტურიენტებისათვის ერთთვიანი მოსამზადებელი კურსების ჩატარება.

კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა:

1. 1. გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი შორეული და მაღალმთიანი რაიონების სკოლების კურსდამთავრებულთა პედაგოგიურ ინსტიტუტებში კონკურსგარეშე ჩარიცხვის მდგომარეობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად, გააანალიზონ გამოვლინებული ნაკლოვანებები, დასახონ შესაბამისი ღონისძიებები მათი აღმოფხვრის მიზნით;

1. 2. მტკიცედ იხელმძღვანელონ არსებული ინსტრუქციით „მაღალმთიან და შორეულ რაიონებში მცხოვრები ახალგაზრდობის პედაგოგიურ ინსტიტუტებში კონკურსგარეშე მიღების შესახებ“, არ დაუშვან მისი დარღვევის შემთხვევები;

1. 3. ახალგაზრდობის მიერ მასწავლებლის პროფესიის შეგნებული არჩევის მიზნით განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სკოლებში პედაგოგიური პროფორიენტაციული მუშაობის გაუმჯობესებას, ამ თვალსაზრისით დასახონ და განახორციელონ სპეციალური ღონისძიებები მოსწავლე ვაჟების მიმართ, მიაღწიონ რესპუბლიკის პედაგოგიურ ინსტიტუტებში კონკურსგარეშე მიღებისათვის გამოყოფილი ადგილების სრულ ათვისებას.

2. აღინიშნოს:

2. 1. აჭარის ასსრ და განათლების სამინისტროს (ამხ. ვ. წულუკიძე) კარგი მუშაობა მაღალმთიან და შორეულ რაიონებში მცხოვრები ახალგაზრდობის შერჩევისა და ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში კონკურსგარეშე ჩარიცხვის საქმეში.

2. 2. მესტიის, ლენტეხის, ცაგერისა და ყაზბეგის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეების (ამხ. ამხ. ა. ჩხვიმიანი, ი. ჩანქსელიანი, დ. კოპალიანი, ი. ჩქარეული) არადამაკმაყოფილებელი მუშაობა ამ მხრივ.

3. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს:

3. 1. ნება დართოს ქ. თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობისა და ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტებს გამონაკლისის სახით, 1981—1982 სასწავლო წელს მოსამზადებელი განყოფილების 150 ადგილზე ჩარიცხონ განათლების სამინისტროს მიერ შერჩეული მაღალმთიანი და შორეული სოფლის სკოლის კურსდამთავრებულები.

3. 2. გააუქმოს 1980 წლის 16 ივლისის № 570 დადგენილებით დამტკიცებული მაღალმთიანი რაიონების არსებული ჩამონათვალი და დართოს ნება განათლების სამინისტროს თვით გაანაწილოს რესპუბლიკის პედაგოგიურ ინსტიტუტებში ახალგაზრდობის კონკურსგარეშე ჩარიცხვისათვის გამოყოფილი ლიმიტები, ამა თუ იმ რაიონში სპეციალისტების საჭიროებაზე არსებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე.

4. კადრების სამმართველომ (ამხ. ა. ვაჩნაძე) დააწესოს კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე.

**კოლეგიის თავმჯდომარე,**
**მინისტრი** **თ. ქინქლაძე**

## საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1981 წლის 17—22 აპრილის ბრძანება № 266—246 ო

### მომუშავე ახალგაზრდობის საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების სრულყოფის თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს 1976 წლის 5 ივლისის № 671/445 ერთობლივი ბრძანების შესრულების მდგომარეობის შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 დეკემბრის № 1111 დადგენილებაში „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის და შრომისათვის მათი მომზადების შემდგომი სრულყოფის შესახებ“ დიდი როლი ენიჭება საღამოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს საყოველთაო საშუალო განათლების ამოცანის გადაწყვეტის საქმეში. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინიტროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ერთობლივი ბრძანების შესაბამისად რომელიც დამვებულ იქნა 1976 წლის 5 ივლისს, რიგ რაიონებში გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში მომუშავე ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო დონის ამაღლებისათვის. ასე მაგალითად:

ქ. თბილისში, აბაშის რაიონში, ქ. ტყიბულში, ონის რაიონში, ქ. ჭიათურაში, ვანის რაიონში და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მიღწეულია სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში მომუშავე საშუალო განათლების არმქონე 16-30 წლამდე ასაკის ახალგაზრდების ზოგადსაგანმანათლებლო სწავლებაში 100%-ით ჩაბმა. ასევე მაღალია 16-30 წლამდე ასაკის ახალგაზრდების სწავლებაში ჩაბმის მაჩვენებლები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ქ. ქუთაისში, რუსთავში, ახმეტის, მაიაკოვსკისა და სხვა რაიონებში.

ამასთან ერთად, ზოგიერთი რაიონის ჯანდაცვის ობიექტების ხელმძღვანელები ჯერ კიდევ სათანადოდ არ ზრუნავენ ახალგაზრდების სწავლებაში ჩაბმისა და სავალდებულო საშუალო განათლების სისტემის განხორციელებისათვის.

ასე მაგ.: სამხრეთ ოსეთის, ადიგენის, გარდაბნის, კასპის, ლენტეხის, წალკის, წითელწყაროს, ჩოხატაურის და ზოგიერთი სხვა რაიონის სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში მომუშავე საშუალო განათლების არმქონე 16-30 წლის ასაკამდე ყველა ახალგაზრდა ჩაბმული არ არის სწავლებაში.

მომუშავე ახალგაზრდობის საღამოსა და დაუსწრებელი განათლების შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის თაობაზე სკკპ 25-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში წარმატებით გატარების, აგრეთვე საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და განათლების სამინისტროს 1976 წლის 5 ივლისის № 671/445 ერთობლივი ბრძანებით დასახულ ღონისძიებათა შესრულებაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ თ:

1. აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების მთავარმა ექიმებმა, ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებებმა:

— აქტიური მონაწილეობა მიიღონ მოძრაობაში „ყოველ ახალგაზრდა მშრომელს — საშუალო განათლება". ამ საქმეში უკეთ გამოიყენონ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მხარდაჭერა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დახმარება, რომ ყველგან შეიქმნას მომუშავე ახალგაზრდობის სწავლებისადმი საყოველთაო ზრუნვის ატმოსფერო. უმოკლეს ვადაში შეიმუშაონ პერსპექტიული გეგმები და უზრუნველყონ მათ შესაბამისად საშუალო განათლების არმქონე 16-30 წლის ყველა მომუშავე ახალგაზრდის სწავლებაში ჩაბმა;

— გაატარონ პრაქტიკული ღონისძიებანი იმისათვის, რომ სწავლაში ჩაბმულ ახალგაზრდებს ჰქონდეთ მუშაობასთან სწავლის შეუფერხებლად შეთავსების ყველა პირობა; გააფართოონ დამრიგებლობის პრაქტიკა;

— წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მოსწავლე ახალგაზრდები საჭიროების მიხედვით უზრუნველყონ მოქმედი შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათებით;

— სწავლასა და შრომაში მოწინავე ახალგაზრდები სისტემატუ-

რად წაახალისონ მატერიალური და მორალური სტიმულირების საშუა-ლებებით;

— სისტემატურად შეისწავლონ დაქვემდებარებულ ობიექტებზე და საწარმოებში მომუშავე ახალგაზრდობის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სწავლებაში ჩაბმის მდგომარეობის საკითხი და მიიღონ შესაბამისი ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

— სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას მხედველობაში მიიღონ ახალგაზრდობის სწავლებაში ჩაბმისა და მათი სწავლის შედეგები, როგორც შრომითი კოლექტივის საქმიანობის ერთ-ერთი მაჩვენებელი.

2. აფხაზეთის და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა, საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების ხელმძღვანელებმა:

— საქმიანი და სისტემატური კონტაქტები დაამყარონ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ობიექტებისა და საწარმოების ხელმძღვანელებთან, ერთობლივ ღონისძიებათა განხორციელებით უზრუნველყონ საშუალო განათლების არმქონე მომუშავე ახალგაზრდობის სწავლებაში ჩაბმა, მეცადინეობაზე დასწრება, სწავლის ხარისხის მკვეთრად ამაღლება და კონტინგენტის შენარჩუნება-გაზრდა;

— ჯანმრთელობის დაცვის საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან ერთად მოაწესრიგონ მოზრდილთა სკოლების ქსელი, სწავლების ფორმა და რეჟიმი ისე, რომ ახალგაზრდობამ საშუალო განათლება მიიღოს თავისი საცხოვრებელი და სამუშაო ადგილის მიხედვით.

**საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი**

**გ. ლეჟავა**

**საქართველოს სსრ განათლების მინისტრი**

**ო. ქინქლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1981 წლის 24 აპრილის

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

**სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სალამოსა და დასწრებულ-დაუსწრებელ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობის შ ე ს ა ხ ე ბ**

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში გარკვეული ღონისძიებები ტარდება მომუშავე ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო დონის ამაღლებისათვის. მეათე ხუთწლედში გეგმიური 6820 ახალგაზრდის ნაცვლად სწავლაში ჩაება 7200 (105,4%), საშუალო განათლება მიიღო 1160-მა მოსწავლემ, ხოლო რვა კლასისა 660-მა. უკეთეს შედეგებს მიაღწია ლენინგორის რაიონულმა დასწრებულ-დაუსწრებელმა სკოლამ.

პედაგოგთა ნაწილმა მუშაობა გარდაქმნა მასწავლებელთა საკავშირო და რესპუბლიკური ყრილობების მოთხოვნათა შესაბამისად, ახლა ისინი მეტ ყურადღებას უთმობენ გაკვეთილებისათვის მზადებას მოზრდილთა სკოლების სპეციფიკის გათვალისწინებით. ცალკეული საგნების სწავლებაში დადებით შედეგებს აღწევენ მასწავლებლები: მ. ბუზალაძე, ქ. ტურაშვილი, ზ. მეტრეველი (ცხინვალის რაიონული სკოლა), ი. ბაზურინი, ე. სანაკოევა (ქ. ცხინვალის დასწრებულ-დაუსწრებელი) და სხვები.

მიუხედავად აღნიშნულისა მომუშავე ახალგაზრდების სწავლება სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება. სკოლებში სათანადო დონეზე არ დგას სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა. მთელი რიგი საგნები დაბალ მეცნიერულ და მეთოდურ დონეზე ისწავლება. არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ქვაისის სკოლის ქიმიის მასწავლებელი ფ. ბაგაევი, ჯავის დასწრებულ-დაუსწრებელი საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელი ფ. ზასეევა, ცხინვალის რაიონული სკოლის ქართული ენის მასწავლებელი ნ. მაისურაძე და სხვები.

მასწავლებლები კარგად არ არიან დაუფლებული მოზრდილთა სწავლების სპეციფიკას და მეთოდებს, განსაკუთრებით დაუსწრებლებთან მუშაობას, მაგრამ მათ საქმიან ხელმძღვანელობას არ უწევენ მეთოდური კაბინეტები.

მოსწავლეთა ნაწილი ვერ ამჟღავნებს მყარ, შეგნებულ ცოდნას მშობლიურ (ქართულ და რუსულ) ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში, ისტორიაში. ბევრს არ შეუძლია გააზრებული, დამოუკიდებელი მსჯელობა ამა თუ იმ საკითხზე, არ აქვთ სწორი წარმოდგენა ნაწარმოების იდეურ მიმართულებაზე, არ არიან დაუფლებული კითხვის ტექნიკას, მეტყველებასა და წერაში უშვებენ უხეშ შეცდომებს, რიგ საგნებში არ სრულდება წერის რაოდენობა და სახეები, მოსწავლეებს არ ამუშავებენ შეცდომების გასწორებაზე.

მოსწავლეთა დაბალი ცოდნის მიზეზია გაკვეთილების ხშირი გაცდენები, მასწავლებელთა მუშაობის დაბალი ხარისხი, ლიბერალიზმი ცოდნის შეფასებაში, მოსწავლეებთან დიფერენცირებული და ინდივიდუალური მუშაობის უგულებელყოფა, ძირითადი სასწავლო დატვირთვის საშინაო დავალებაზე გადატანა; სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების მიერ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ზერელე ინსპექტირება. არ ხდება მოსწავლეთა ცოდნის გაანალიზება და აქედან გამომდინარე მასწავლებლის მუშაობის შედეგების შეფასება.

საჭირო ღონისძიებები არ ტარდება სასწავლო პროცესის სრულყოფისათვის, მუშაობაში ახალი ფორმებისა და რეჟიმის დანერგვისათვის, მეცადინეობაზე მოსწავლეთა დასწრების უზრუნველყოფისათვის.

შემოწმებისას დაბა ქვაისის საღამოს სკოლაში 102 მოსწავლიდან მეცადინეობაზე მხოლოდ 16 გამოცხადდა, ქ. ცხინვალის დასწრებულ-დაუსწრებელ სკოლაში 187-დან—33, მეცადინეობაზე დაუსწრებლობის გამო მოსწავლეთა დიდი ნაწილი არ ასრულებს საკონტროლო წერებს, ლაბორატორიულ სამუშაოებს.

სათანადოდ არ მიმდინარეობს ბრძოლა სასკოლო ცხოვრებაში ნეგატიური მოვლენების დასაძლევად. ქვაისის საღამოს საშუალო სკოლის დირექტორმა ლ. გასიევმა მოსწავლეთა ნაწილი სკოლაში არსებული წესების დარღვევით ჩარიცხა. ზოგან 1980—1981 სასწავლო წლის პირველ სემესტრში ხელოვნურად არის ამაღლებული მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების პროცენტული მაჩვენებლები და ისინი ვერ გამოხატავენ მოსწავლეთა რეალურ ცოდნას. ზნაურის სკოლაში იგი 99% შეადგენს, ჯავის დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლის ცენტრალურ პუნქტში — 100%-ს.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოზრდილთა სკოლებში

სათანადოდ ვერ მუშაობენ მოსწავლეთა კონტინგენტის შესანარჩუნებლად. გასული ხუთწლედის ოთხ წელიწადში სამხრეთ ოსეთის მოზრდილთა სკოლები დატოვა 700-ზე მეტმა მოსწავლემ. მათგან ნახევარზე მეტი ქალაქ ცხინვალზე მოდის. ამ პერიოდში ოლქის სკოლები დაამთავრა მეთერთმეტე კლასელთა მხოლოდ 76%-მა, რვა კლასი კი 75%-მა. ამ დარგში განსაკუთრებით ცუდი მაჩვენებლებია ქვაისის და ქ. ცხინვალის სკოლებში. მიმდინარე სასწავლო წელს არასაპატიო მიზეზით სკოლებიდან გავიდა 23 მოსწავლე.

ხარვეზებია სასკოლო მუშაობის დაგეგმვაში. მაგალითად: ქვაისის, ჯავის, ცხინვალის რაიონის სკოლების სამუშაო გეგმებში არაა გათვალისწინებული აქტუალური საკითხები, ხოლო გეგმიური საკითხების ნაწილი კი შეუსრულებელია. სუსტად ხორციელდება შინასასკოლო კონტროლი და ხელმძღვანელობა. დირექტორები, მათი მოადგილეები და მეთოდისტები ხშირად არ ესწრებიან მასწავლებლებს გაკვეთილებსა და კონსულტაციებზე, არ ხდება მოწინავე მასწავლებლების მუშაობის გამოცდილების განზოგადება. პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე არ იხილავენ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მნიშვნელოვან საკითხებს, ცალკეული საგნების სწავლების, მიღებული დადგენილებების შესრულების მდგომარეობას. არ სრულდება საქართველოს სსრ განათლების მინისტრის ბრძანება მოზრდილთა სკოლების მიერ დღის სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის გამოყენების შესახებ. ქვაისის და ცხინვალის სკოლები ვერ სარგებლობენ დღის სკოლების კაბინეტებით და თვალსაჩინოებით. ქვაისის სკოლის საკლასო ოთახებში მინები ჩამტვრეულია, არ არის გათბობა, სასკოლო ინვენტარი ვერ პასუხობს ჰიგიენურ მოთხოვნებს.

სკოლებში სადღეისო მოთხოვნათა დონეზე არაა დაყენებული აღმზრდელობითი მუშაობა; კლასის ხელმძღვანელთა საქმიანობა ზოგან ფორმალურ ხასიათს ატარებს. ისინი კმაყოფილდებიან აღმზრდელობითი მუშაობის გეგმების შედგენით. არ მუშაობენ მოსწავლეთა თვითმმართველობის და არასაწესდებო კომკავშირული ორგანიზაციები. არ ეწყობა აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებები.

სკოლებსა და საწარმოებს შორის არ არის დამყარებული საქმიანი ურთიერთობა, არაა შექმნილი საყოველთაო ზრუნვის ატმოსფერო მომუშავე ახალგაზრდობის სწავლებისადმი, სკოლებს არ ეწევა საშეფო დახმარება, საწარმოებში არ არის დანერგილი დამრიგებლობა, არ

ხდება მოწინავე მოსწავლეთა მატერიალური და მორალური სტიმულირება, სუსტად მუშაობენ საორგანიზაციო კომიტეტები „ყოველ ახალგაზრდა მშრომელს — საშუალო განათლება!“

ახალგაზრდობის ზოგადი განათლების საკითხებზე განათლებისა და სხვა დარგობრივი სამინისტროების ერთობლივი ბრძანებების შესრულება მხოლოდ განათლების ორგანოების საზრუნავადაა მიჩნეული.

სათანადო შედეგი არ მოაქვს ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მიერ საკითხების განხილვას, მოზრდილთა სწავლების შესახებ, ვინაიდან განათლების ადგილობრივი ორგანოები აქტიურად არ იბრძვიან მათ განსახორციელებლად და ისინი შეუსრულებელი რჩება.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების ორგანოებმა უზრუნველყონ სკკპ 26-ე ყრილობის მიერ მომუშავე ახალგაზრდობის სწავლების დარგში დასახული ამოცანების განუხრელი შესრულება, ამ მიზნით:

— მეტი ინიციატივა გამოიჩინონ მუშაობაში, მიაღწიონ ადგილობრივი, პარტიული დი საბჭოთა ორგანოების მხარდაჭერასა და დახმარებას, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიურ ჩაბმას მოზრდილთა სწავლების ორგანიზაციაში, იზრუნონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და დარგობრივი სამინისტროების ერთობლივი ბრძანებების შესრულებისათვის;

— საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების პედაგოგიური კოლექტივების საქმიანობა წარმართონ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტიანობის და სწავლების ხარისხის ასამაღლებლად. აღმოფხვრან ფორმალიზმი მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში;

— გააძლიერონ კონტროლი და ხელმძღვანელობა, პედაგოგიური საბჭოს ქმედითობა, გაზარდონ სკოლის დირექტორების პერსონალური პასუხისმგებლობა, დანერგონ სწავლების ისეთი ფორმები და რეჟიმი, რომლებიც დაეხმარება მომუშავე ახალგაზრდებს შრომასთან სწავლის შეხამებაში;

— სკოლებსა და მასწავლებლებს შეუქმნან მუშაობისათვის საჭირო პირობები, უზრუნველყონ ამ საკითხზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1978 წლის 21 თებერვლის № 05-5/8-78 მითითების აუცილებელი შესრულება. სკოლების სასწავლო-მატერიალური ბა-

ზის განმტკიცებაში ჩააბან შეფი საწარმოები და მეურნეობები;

— მეტი ყურადღება მიაქციონ სკოლების საქმიანობაში, მოსწავლეთა თვითმმართველობისა და არასაწესდებო კომკავშირული ორგანიზაციების აქტიურად ჩაბმას;

— გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი საორგანიზაციო კომიტეტების — ყოველ ახალგაზრდა მშრომელს — საშუალო განათლება!“ საქმიანობის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის, სკოლების მოსწავლეებით დაკომპლექტების გეგმების შესრულებისა და კონტინგენტის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად.

2. შინასასკოლო კონტროლისა და ხელმძღვანელობის შესუსტებისათვის გამოეცხადოთ საყვედური ქ. ცხინვალის 1-ლ და ჯავის რაიონული დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლების დირექტორებს ი. ვ. ჯაგაევსა და რ. ვ. თედეევს.

3. სკოლებისადმი არასაკმაო ხელმძღვანელობისათვის მკაცრად გაფრთხილდნენ ქ. ცხინვალის საღამოსა და ცხინვალის რაიონის დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლების დირექტორები ა. ვ. ალხაზიშვილი და ი. თ. ქელეხსაევი.

4. გადაწყვეტილებაში აღნიშნულ არადამაკმაყოფილებლად მომუშავე მასწავლებლების მიმართ განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა მიიღონ ზომები; მათვე გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი აღნიშნული სკოლების კადრების განსამტკიცებლად.

5. არადამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს ქ. ცხინვალის, ჯავის და ცხინვალის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეების ამხ. რ. თადტაევის, ს. ცხოვრებოვისა და ე. ტასოევის მუშაობა მომუშავე ახალგაზრდების სწავლების საქმეში და გაფრთხილდნენ ისინი, თუ არ გააუმჯობესებენ მდგომარეობას, მათ მიმართ მიღებული იქნება მკაცრი ზომები.

6. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებამ (ამხ. ფ. ფუხაევა) ქმედითი ზომები მიიღოს საღამოს და დაუსწრებელი სკოლების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. მანვე გადაწყვიტოს ჯავის რაიონის ქვაისის საღამოს სკოლის დირექტორის ამხ. ლ. გასიევის ამ თანამდებობაზე შემდგომი დატოვების მიზანშეწონილობის საკითხი.

მინისტრი　　　　ო. ქინქლაძე

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1981 წლის 24 აპრილის

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გადაწყვეტილება

**რესპუბლიკის სკოლებში სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ**

კოლეგია აღნიშნავს, რომ უკანასკნელ ხანს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა მოსწავლეთა სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის საქმე.

გატარდა ღონისძიებები სკოლების მატერიალური ბაზის გაუმჯობესების, ერთცვლიან სწავლებაზე და სწავლების კაბინეტურ სისტემაზე თანდათანობით გადასვლის, მოსწავლეთა ცხელი კერძებით კვების ორგანიზების, ბავშვთა სამედიცინო-სანიტარიული მომსახურებისა და ჰიგიენური სწავლების უზრუნველსაყოფად.

ამასთან ერთად, შემოწმებით დადგინდა, რომ სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები და სკოლები ყოველთვის ჯეროვანი ყურადღებით და დაინტერესებით არ ეკიდებიან იმ ჰიგიენური მოთხოვნების პრაქტიკულად განხორციელებას, რომლებიც მიმართულია მოზარდი თაობის ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური განვითარებისათვის. რიგი სკოლების საექიმო კაბინეტები კვლავაც მოთავსებულია შეუფერებელ ოთახებში, არ არიან უზრუნველყოფილი სამედიცინო იარაღებით, ავეჯითა და ინვენტარით, სამედიცინო პერსონალის ერთ ნაწილს სკოლის დირექციის მიერ არა აქვს გამოყოფილი დღეები და საათები მოსწავლეთა სამედიცინო შემოწმებისა და პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩასატარებლად.

სათანადო ყურადღება არ ექცევა მერხებისა და სხვა სასკოლო ავეჯის სწორად გამოყენებას მოსწავლეთა ფიზიკური მონაცემების გათვალისწინებით. ფიზკულტურის დარბაზები არ არის მოწყობილი საჭირო იარაღებით, რეგულარულად არ ტარდება გამაჯანსაღებელი ვარჯიშები, ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ეზოების კეთილმოწყობას, მათ გამწვანებას, ხშირად ირღვევა შენობების სანიტარიული დასუფთავების რეჟიმი. ბევრ სკოლაში მასწავლებლებსა და მოსწავლეთა მშობლებს შორის ჯერ კიდევ სუსტი პროპაგანდა ეწევა ჰიგიენის საკითხებს.

სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები ინერტიულობას იჩენენ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროების 1977 წლის 21 იანვრის № 36/47 ერთობლივი ბრძანების „მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების შემდგომ ღონისძიებათა შესახებ“ და სტომატოლოგიური კაბინეტების გახსნის თაობაზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 3 იანვრის № 2 დადგენილების შესრულების საკითხში.

მოსწავლეთა სანიტარიულ-ჰიგიენური მომსახურებისა და მათი ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნით

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

1.1. 1982 წლის 1 იანვრამდე შეამოწმონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა სანიტარიულ-ჰიგიენური მომსახურებისა და მათი ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობა, საკითხი განიხილონ სამინისტროს კოლეგიებსა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე, მკაცრად იმსჯელონ იმ მუშაკებზე, რომლებსაც ჯერ კიდევ არ გაუტარებიათ ქმედითი ღონისძიებანი სკოლებში სანიტარიულ-ჰიგიენური რეჟიმის მოწესრიგებისა და მოსწავლეთა სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად;

1.2. აამაღლონ პედაგოგიური კოლექტივების პასუხისმგებლობა მოსწავლეთა ჰიგიენური სწავლებისა და აღზრდის, პირადი და საზოგადო ჰიგიენის მყარი ჩვევების დანერგვის, მოსწავლეთა ფიზიკური განვითარების და ჯანმრთელობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად;

1.3. მიიღონ ქმედითი ზომები შესაფერისი მარკის მერხებითა და მაგიდებით სკოლების უზრუნველსაყოფად, „სასკოლო ავეჯის გამოყენების შესახებ“ სსრკ ჯანმრთელობის დაცვის და სსრკ განათლების სამინისტროების 1974 წლის 12 ოქტომბრის № 117-74 მეთოდური რეკომენდაციების გათვალისწინებით;

1.4. გააძლიერონ კონტროლი სკოლებში სასწავლო რეჟიმის დაცვაზე, გაკვეთილების ცხრილის პედაგოგიურ მოთხოვნათა მიხედვით შე-

დგენაზე, გაკვეთილებსა და ცვლებს შორის შესვენებების დადგენილი ხანგრძლივობის მკაცრ დაცვაზე.

2. გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციამ (ამხ. ნ. შველიძე) სისტემატურად გააშუქოს გაზეთის ფურცლებზე ბავშვთა ჰიგიენური აღზრდისა და მშობლების სანიტარიული განათლების საკითხები.

3. სკოლების სამმართველომ (ამხ. კ. სუჯაშვილი) კონტროლი განახორციელოს ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე.

მინისტრი ო. ქინქლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ც ნ ო ბ ა

## რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესახებ

რესპუბლიკის 9 რაიონის 32 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის შემოწმებამ ცხადყო, რომ განათლების ორგანოები ასრულებენ რა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროების 1977 წლის 21 იანვრის ერთობლივ № 36/47 ბრძანებას „მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების შემდგომ ღონისძიებათა შესახებ“, ატარებენ გარკვეულ მუშაობას მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდისათვის სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების გასაუმჯობესებლად.

რესპუბლიკაში სისტემატურად ტარდება მუშაობა სკოლების ქსელის მოწესრიგებისა და რაციონალურად განლაგების, გახანგრძლ. კებული დღის ჯგუფებისა და სასკოლო ინტერნატების გახსნისა და მათში მოსწავლეთა ჩაბმის, ერთცვლიან სწავლებაზე და სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასვლის, მოსწავლეთა ცხელი კერძებით უზრუნველყოფის ორგანიზაციისა და სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

დიდი მუშაობაა გაწეული მე-10 ხუთწლედში ახალი სოკლების მშენებლობისა და ძველი სკოლების რეკონსტრუქციისათვის. აღნიშნულ ხუთწლედში ექსპლოატაციაში შევიდა 341 სკოლა 163 ათასი მოსწავლეადგილით. სკოლებში გარკვეულად შემცირდა სამი და ორცვლიანი მეცადინეობა. 1975—1976 სასწავლო წელს ერთ ცვლაში მუშაობდა 2714 სკოლა (731733 მოსწავლე), ორ ცვლაში 1176 სკოლა (202704 მოსწავლე), სამ ცვლაში 17 სკოლა (2635 მოსწავლე), 1980—1981 სასწავლო წელს ერთ ცვლაში მუშაობს 2785 სკოლა (879516 მოსწავლე), ორ ცვლაში — 905 სკოლა (167869 მოსწავლე), სამ ცვლაში კი — 22 სკოლა (3855 მოსწავლე).

გაუმჯობესდა ახალი ინვენტარით სკოლების მომარაგების საქმე. 1980 წელს სკოლებმა მიიღეს 38350 მერხი (863800 მანეთი), 270 სადემონსტრაციო მაგიდა (39400 მანეთი), 35200 სკამი (681 600 მანეთი), 3820 დაფა (191 000 მანეთი), 1600 ხელსაწყოების კარადა (201 600 მანეთი) და სხვა ინვენტარი. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 3 იანვრის № 2 დადგენილება, რომელიც ეხება სტომატო-

ლოგიური კაბინეტების იმ სკოლებში გახსნის საკითხს, რომლებშიც 800 მოსწავლეზე მეტი სწავლობს, ძირითადში შესრულებულია.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში კვლავაც ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს, როგორც სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების დაცვის, ისე მოსწავლეთა სამედიცინო მომსახურების საქმეში.

ქ. თბილისის 46-ე, 47-ე, 61-ე, 110-ე, 117-ე და 134-ე სკოლებში ერთიანი ფრონტით თამბაქოს წევის წინააღმდეგ საბრძოლველად არ წარმოებს თანამიმდევრული, სისტემატური და გეგმაზომიერი მუშაობა. ამ სკოლებში უხეშად ირღვევა სკოლის შინაგანაწესი და უფროსების მოსწავლეების წინაშე ეწევიან თამბაქოს.

შემოწმების მომენტში ზოგიერთი მოსწავლის პირადი ჰიგიენის წესები (ფრჩხილები ჭუჭყიანი და მოსაჭრელი, ხელები და ყურები ჭუჭყიანი, თმა შესაკრეჭი) არ იყო დაცული ქ. თბილისის 21-ე, 119-ე, 120-ე, 160-ე, 167-ე, მე-11, მე-12, მე-14, 113-ე, 134-ე, 142-ე და 101-ე სკოლებში.

წულუკიძის რაიონის სოფლების ძეძილეთის, კინჩხის, მათხოჯის, გორდის, დუშეთის რაიონის სოფლების ჟინვალის, ანანურის, ფასანაურის, თეთრიწყაროს რაიონის რუსულ, ქართულ, სოფელ მანგლისის რუსულ, ქართულ და სოფელ ორბეთის სკოლებში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა საპირფარეშოების მდგომარეობას. საპირფარეშოები არ არის უზრუნველყოფილი ტუალეტის ქაღალდებით და ნახმარი ქაღალდების ჩასაყრელი ყუთებით, ხოლო ხელსაბანებთან არ არის საპონი და ინდივიდუალური ხელსახოცები, ამ სკოლებში მეცადინეობის დამთავრების შემდეგ საპირფარეშოები ყოველდღიურად არ ირეცხება კირის წყლით, ხოლო იატაკი და დასაჯდომები დამატებით 0,2% ქლორიანი კირის წყლით.

დუშეთის რაიონის მე-3, სოფელ ჟინვალის, თეთრიწყაროს რაიონის რუსულ, სოფლების მანგლისის ქართულ, რუსულ, ორბეთის, წულუკიძის რაიონის სოფლების კინჩხისა და ძეძილეთის სკოლებში სათანადო ყურადღება არ ექცევა მერხების მარკირებას და მათზე მოსწავლეების სიმაღლის მიხედვით განაწილებას. ასეთი მდგომარეობა ხელს უწყობს მოსწავლეთა ჯანმრთელობის გაუარესებას, ხერხემლის გამრუდებასა და მხედველობის დაქვეითებას.

უნდა აღინიშნოს ის მდგომარეობაც, რომ სასკოლო ინვენტარის დამამზადებელი ფაბრიკის მიერ მერხები მზადდება უხარისხოდ, რის გამოც ისინი ადვილად გამოდიან წყობიდან (მერხის მაგიდის ზედაპირი ადვილად ირყევა, საზურგე ძვრება, დასაჯდომი ფიცრის კიდე მახვილია) მერხის სტანდარტულობის დარღვევის გამო (უჯრის სიღრმის, მაგიდისა და სკამის სიმაღლის შემცირება, ასაკეცი ფრთის უქონლობა), ძალზე გაძნელებულია მოსწავლის ადგომა-დაჯდომა, ჩანთის მყარად მოთავსება და ა. შ.

გარდაბნის რაიონის სოფლების ტაბახმელის, თელეთის, კუმისის, დუშეთის რაიონის სოფლების ანანურის, ფასანაურისა და ჟინვალის სკოლებში კაბინეტურ სისტემაზე გადასვლა მოხდა სანეპიდსადგურებთან შეთანხმების გარეშე, რის გამოც დაირღვა სასწავლო პროცესის სწორი ორგანიზაცია და ჰიგიენური მოთხოვნები.

გარდაბნის რაიონის სოფელ ქესალოს, წულუკიძის რაიონის სოფლების კინჩხისა და ძძილეთის, ზესტაფონის რაიონის სოფელ შრომის სკოლებში კვლავაც ირღვევა გაკვეთილების ცხრილის სწორად შედგენის უაღრესად დიდი პედაგოგიური და ჰიგიენური მოთხოვნები. ამ სკოლებში გაკვეთილების ცხრილს ადგენენ მოსწავლეთა შრომისუნარიანობის დინამიურობისა და სასკოლო საგნების სირთულის გათვალისწინების გარეშე. ხშირად მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია და ზოგადი ბიოლოგია ტარდება ბოლო გაკვეთილებზე, ან კიდევ გაკვეთილების ცხრილის შედგენის დროს ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა საგნების სიძნელისა და სირთულის მიხედვით დალაგებას. ყოველივე ეს უარყოფითად მოქმედებს მოსწავლეთა ჯანმრთელობაზე.

დუშეთის რაიონის სოფელ ჟინვალის, რუსთავის მე-15, თბილისის მე-8, მე-15, 44-ე, 47-ე, 51-ე, 58-ე, მე-60, 62-ე, 64-ე, 101-ე, 129-ე, 133-ე და 160-ე სკოლებში შემცირებულია მოსწავლეთა დასვენების, მათი სუფთა ჰაერზე ყოფნის ხანგრძლივობა. კერძოდ, გაკვეთილებს შორის მცირე დასვენება არ აღემატება 5 წუთს, ნაცვლად 10-ისა, ხოლო დიდი დასვენება 10-15 წუთს, ნაცვლად 20-30 წუთისა. არის შემთხვევები, როდესაც ამ სკოლების პედაგოგები ზარის დარეკვის შემდეგაც რამოდენიმე წუთით აგრძელებენ მეცადინეობებს და არ ათავისუფლებენ მოსწავლეებს გაკვეთილიდან. აღნიშნული იწვევს მოსწავლეთა ნაადრევ გადაღლას, შრომის უნარიანობისა და პროგრამის ათვისების დაქვეითებას, მომდევნო გაკვეთილზე შრომის ნაყოფიერების

შემცირებას, სკოლის არადამაკმაყოფილებლად დაგვა-დასუფთავებას და ხელს უშლის მოსწავლეთა ნორმალური კვების საქმეს.

თბილისის 21-ე, 119-ე, 120-ე, 160-ე, 167-ე, ბათუმის მე-4, მე-9, მე-11, მე-13, 21-ე, 26-ე, ლანჩხუთის რაიონის სოფელ მამათის, წულუკიძის რაიონის სოფლების კინჩხის, გორდის, მათხოჯისა და ძეძილეთის სკოლებში არადამაკმაყოფილებელია კვების ბლოკში მომუშავე პირთა პირადი ჰიგიენა. აქ უხარისხოდ ირეცხება ჭურჭელი, პედაგოგები სამედიცინო პერსონალთან ერთად ჯეროვნად ვერ უზრუნველყოფენ წესრიგს მოსწავლეთა საუზმის მიღების საათებში, ფართოდ არ არის გაშლილი სანიტარიულ-კულტურული მუშაობა მოსწავლეთა შორის.

ბათუმის მე-7, დუშეთის რაიონის სოფლების შუახევის, ყვავილის, ანანურის, ფასანაურის, ჟინვალის, გარდაბნის რაიონის სოფლების ტაბახმელის, კუმისის, თეთრიწყაროს რაიონის სოფლების მანგლისის რუსულ და ორბეთის სკოლებს კვლავაც არ გააჩნიათ ფიზკულტურის დარბაზები. ამ სკოლებში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ მუშაობას, ასევე ფიზკულტურის მეცადინეობების იმ მოსწავლეებთან ორგანიზირებულად ჩატარებას, რომლებიც მიმაგრებული არიან სპეციალურ სამედიცინო ჯგუფს. შემოწმებული სკოლების დიდ უმრავლესობაში ყურადღება არ არის გამახვილებული ფიზკულტურის დარბაზების სათანადო დაგვა-დასუფთავების საკითხებზე. თითქმის არც ერთ სკოლაში ფიზკულტურის დარბაზის იატაკი არ არის დაფარული ლინოლეუმით, რაც მიზანშეწონილია ჰიგიენური თვალსაზრისით.

სკოლების გარკვეულ ნაწილს კვლავაც კეთილმოწყობილი არ აქვს სახელოსნოები და კაბინეტ-ლაბორატორიები, არსებული დაზგა-დანადგარები არ შეესაბამება მოსწავლის სიმაღლეს, არ გამოიყენება სტელაჟები, სახელოსნოებში არ არის მოწყობილი ხელსაბანი.

დუშეთის რაიონის სოფლების ფასანაურის, ანანურის, ჟინვალის, შუახევის, ყვავილის, ჭართლის, გარდაბნის რაიონის მე-2, სოფელ კუმისის, თეთრიწყაროს რაიონის სოფელ მანგლისის ქართულ, რუსულ, წულუკიძის რაიონის სოფლების კინჩხისა და ძეძილეთის სკოლებს არ გააჩნიათ საექიმო კაბინეტები, რაც თავის მხრივ, უარყოფით გავლენას ახდენს აღნიშნულ სკოლებში მოსწავლეთა სამედიცინო მომსახურება-

ზე. სკოლების ერთ ნაწილს, მართალია, გააჩნია საექიმო კაბინეტები, მაგრამ მათი უმრავლესობა არ არის მთლიანად აღჭურვილი სამედიცინო იარაღებით. ასე მაგალითად; ძალზე იშვიათი შემთხვევაა, საექიმო კაბინეტს გააჩნდეს წნევის გასაზომი ხელსაწყო, სპირომეტრი, ფონენდოსკოპი და ა. შ. ასევე, მართალია, ყველა სკოლაში შევსებულია ბავშვთა ინდივიდუალური ბარათები (ფორმა № 26), მაგრამ ისინი შევსებულია უხარისხოდ, მათში სრულყოფილად არ არის მოცემული სამედიცინო გამოკვლევის შედეგები. მოსამზადებელი კლასების მოსწავლეთა ინდივიდუალურ ბარათებში არ ჩანს ანტროპომეტრული მონაცემები, რის გამოც მოთხოვნების შესაბამისად არ გამოიყენება ფიზიკური მაჩვენებლები. ნაკლოვანებები აღინიშნება აგრეთვე ავადმყოფ ბავშვთა დისპანსერიზაციის საქმეში. სკოლების ერთ ნაწილს არა აქვთ ამბულატორიული მიღების ჟურნალი, ან აქვთ, მაგრამ შევსებულია უხარისხოდ.

დუშეთის რაიონის სოფლების ფასანაურის, ანანურის, ყვავილის, თეთრიწყაროს რაიონის რუსულ და სოფელ ორბეთის სკოლებში მიმდინარე სასწავლო წელს არ ჩატარებულა მოსწავლეთა ღრმა სამედიცინო შემოწმება. მიუხედავად იმისა, რომ სკოლების დიდ უმრავლესობაში ჩატარებულია ღრმა სამედიცინო შემოწმება, ამ საქმეში ვიწრო სპეციალისტები მაინც არ იღებენ მონაწილეობას.

რუსთავის მე-7, მე-11 და თეთრიწყაროს რაიონის რუსულ სკოლებს კვლავაც არ გააჩნიათ სტომატოლოგიური კაბინეტები მიუხედავად იმისა, რომ არსებობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 3 იანვრის № 2 დადგენილება, რომლის მიხედვითაც რესპუბლიკის იმ სკოლებში, სადაც რვაასზე მეტი მოსწავლე სწავლობს, გახსნილი უნდა იქნას ასეთი კაბინეტები.

სკოლების შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ კვლავ სათანადო ყურადღება არ ექცევა სანიტარიულ-საგანმანათლებლო მუშაობას მშობლებსა და მოსწავლეთა შორის, სისტემატიური ხასიათი არ აქვს ლექციების კითხვას დაავადების პროფილაქტიკისა და ჰიგიენის საკითხებზე. უფრო ცუდი მდგომარეობაა კინოსურათებისა და სპექტაკლების ჩვენების ,ბიულეტენების, კედლის გაზეთების გამოშვებისა და ჯანმრთელობის დაცვის კუთხეების ორგანიზაციის მხრივ.

სკოლებში, პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, თითქმის, უგულებელყოფილია სამედიცინო მომსახურების, სანიტარიულ-ჰიგიენური რეჟიმის დაცვისა და ღრმა სამედიცინო შემოწმების მასალების მოსმენისა და ანალიზის პრაქტიკა.

**სკოლების სამმართველო.**
**რესპუბლიკური მეთოდური ცენტრი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი

ბრძანება — ქ. თბილისის 140-ე საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ზოგიერთი საკითხის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . 3

გადაწყვეტილება — საქართველოს კომუნისტური პარტიის 26-ე ყრილობისადმი მიძღვნილი ნორჩ ფენოლოგთა მე-8 რესპუბლიკური კონფერენციის შედეგებისა და მე-9 რესპუბლიკური კონფერენციის ჩატარების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . 6

გადაწყვეტილება — რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში უცხოური ენების გაღრმავებული სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . 22

გადაწყვეტილება — 1980—1981 სასწავლო წლის წარმატებით დამთავრებისა და 1981—1982 სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . . . . . 31

გადაწყვეტილება — რესპუბლიკაში ნორჩ ქიმიკოსთა კოლექტივების მე-4 საკავშირო დათვალიერების შედეგების შესახებ . . . . . . 41

გადაწყვეტილება — რესპუბლიკის შორეული და მაღალმთიანი რაიონების სოფლის სკოლების კურსდამთავრებულთა პედაგოგიურ ინსტიტუტებში კონკურსგარეშე ჩარიცხვის შედეგების შესახებ . . . . . . 47

ბრძანება № 266—246/ო — მომუშავე ახალგაზრდობის საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების სრულყოფის თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს 1976 წლის 5 ივლისის № 671/445 ერთობლივი ბრძანების შესრულების მდგომარეობის შესახებ . . . . . . . . . 52

გადაწყვეტილება — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საღამოსა და დასწრებულ-დაუსწრებელ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობის შესახებ . . . . . . . . . . 55

გადაწყვეტილება — რესპუბლიკის სკოლებში სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ 60

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი ე. ქურციკიძე
ტექრედაქტორი ა. ბაკურაძე
კორექტორი ლ. დოლიძე

გადაეცა ასაწყობად 24/VII-81 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/IX-81 წ.;
ანაწყობის ზომა $6^1/_4 \times 9^1/_4$; ქაღალდის ზომა $60 \times 84$; ნაბეჭდი თაბახი 4,50;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,5;

შეკვ. № 639 უე 14270 ტირაჟი 6 000

უფასო

3
20. I 82

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა, ნუცუბიძის ქ. № 7.

Типография Министерства просвещения ГССР, Нуцубидзе 7.

92-81

82-3

ეროვნული
ბიბლიოთეკა